— აი, ამ სახლში, მიელი ანტიკვარული მუზეუმი. — გვეუბნება ჰაჰო-აბდულა და მიგვიძღვის შესასვლელისაკენ. ფართო, ნათელ ოთახში შევდიართ. კედლებზე თვალის მომჭრელად ელავს ფაიფურისა და ქაშანურის თევშები, ღარნაკები, წყლის სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის სპილენძის ჭურჭლეული. მოხუცი ჩია მასპინძელი თვალგებარწყინებული გვიხსნის ყველა მთავარის წარმოშობის ადგილს და დროს.

— აი, ეს სერბიული ფაიფურია, ფრანგული რენესანსის დროინდელი მოხატულობით. იქით კი — რუსული, ვატირინის დროისა. — ეს დანარჩენი ჩინური და ირანულია. — უზოგიერთი მთავანი ოთახანი, ხუთისაი წლისაა. ნამდვილი უნიკუმი. თა-როდებუ აწყვილა სხვადასხვა ზომის ფილები, წვრილ ფეხებზე შემდგარი მუცლიანი ქვაბები, წყლის საზიდი ჭურჭლები „მურალი“ და „კუტაუ“. იქვეა „ჩახები“ — ძველი ბრინჯის ღამპრები. — ყველა ეს სპილენძის ნივით — ყუბაჩურია, — განავრძობს ასხანს მოხუცი.

აქვე ვნახეთ ფაიფურის უზარმაზარი ღარნაკი, რომელზედაც ჩინელი ქალბთია გამოსატული. ორ მოპირდაპირე მხარეს სპილოს თავების, მიღუნული ხორთუშებით, რომლებიც სახე-ლურებს ქმნიან. ღარნაკის სხვა დანარჩენი ადგილი შევხვდულია გოლიათების გველშაპებთან ბრძოლის ამსახველი ფერადი მოხატულობებით. ეს ღარნაკი ერთ ყუბაჩელ კოლექციონერს კონსტანტინოპოლიდან ჩამოუტანია. გასაოცარია, ეს უზარმა-



ზარი ფაქიზი მასალის ნივთი როგორ გამოატარებს ჩინეთიდან თურქეთამდე და თურქეთიდან ამ მწვერვალამდე დაუზიანებლად. ისეთი შთაბეჭდილება გვიქონა, თითქმის მთელი დღე, დღი არაჩვეულებრივი მუხუხების დარბაზში დავდივოდით.

— ჩვენი ხალხის შესახებ შეიძლება ილაპარაკოთ ათასერთი დამე, — დამილით გვეუბნება ჰაჯი-აბდულა, — და მაინც ყველაფერს ვერ მოუყვები. შესერაზადეს ზღაპრებზე უფრო საინტერესოა.

... მან გვიამბო ყუბაჩელების საიდუმლო სასამართლოზე, „უცხოელთა კავშირის“ წვერების ადათზე, დასაფლავების თავისებურ წესებზე, როგორ იქნენ მებარაღნი გრავირობად და რას სწორდნენ ყუბაჩელთა შესახებ არაბი თუ ევროპელი მოგზაურები.

— ჩვენ, ყუბაჩელებს, ზოგი მეცნიერი ფრანგულ წარმოშობის გავაუთუნებდა, მეორენი — მორავის, შესამენი კი — ვენეციისა და ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ჩვენს ენაში არის ზოგიერთი ევროპული სიტყვა. სინამდვილეში კი ჩვენ კავკასიის მკვიდრი ვართ.

ყუბაჩელები ერთი სოფლის — აულის ხალხია. სულ ორი ათას ხუთასი მცხოვრებია. მათ არ გაჩნიათ თავიანთი აზანი და დამწერლობა. ბავშვები ჯერ სწავლობენ დარგიულ ენას, რომლებითაც დასახლებულია მეზობელი სოფლები, მერე კი რუსულს. თითქმის ყოველი ყუბაჩელი ფლობს სამ ენას — მშობლიურს, დარგიულს და რუსულს.

ყველაფერი, რაც კი მათ გაჩნიათ: ოჯახური ნივთები, ჯამჭურჭელი თუ მაგიდა, სკამები მოხატულია მეზობელი სოფლისა. მჭადი, რომელიც დიასახლისმა შემოგვიტანა, ღამაზი ორნამენტით იყო დაფარული. თურმე ყუბაჩელები პურსაც ალამაზებენ! ყუბაჩი მართლაც, სოფელი-მუხუხეა.

„საბიჩუ-უსტა“

სოფლის განაპირას, მთის ფერდობზე დგას ქვიტიკრისი, ფართო ფანჯრებიანი სახლი. სწორედ აქ იბადება და აქედან მიდის ჩვენი დიდი ქვეყნის კიდით კიდემდე ყუბაჩელ ოსტატთა ნახელოა.

სახელოსნოში მთავარი — საგრაივირო საამქროა. იგი ყველაზე უფრო ნათელ, რამდენიმე დიდ ოთახშია მოთავსებული, რადგან აქ სინათლე ისევა საჭირო, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღი. ორნამენტის, მილიმეტრის მოათედის სისუსტით იკვეთება. ხაზის ყოველი ხვეული, პარმონილობით უნდა ეწყობოდეს ერთმანეთს. წინათ ყუბაჩელები მუშაობდნენ თავიანთ, პატარა, ბნელ ქოხებში და ადრე კარგადდნენ მხედველობას.

გრაირების ოსტატებს ყუბაჩაში „საბიჩუ-უსტას“ ეძახიან: სიტყვა „საბიჩი“ — გრაირებას, ხოლო „უსტა“ — ოსტატს ნიშნავს.

საქვენოდ ცნობილი ოსტატების სახელს ყუბაჩაში არ ივიწყებენ. მათი ნაწარმოებების ცალკეულ ნიმუშებს ინახავენ როგორც იშვიათ რელიქვიას, მოხუცები ხანდახან ახალგაზრდა ოსტატებს აჩვენებენ ხოლმე და აქეზებენ. — „აი, ასე ისწავლეო მუშაობა!“

ყოველი ახალგაზრდა ყუბაჩელი ოცნებობს შექმნას ისეთი რამ, რაც სიბერეს უფლებდა, ატაროს „საბიჩუ-უსტას“ საპატიო სახელი.

ყველა ძველი ოსტატი — პარმონიული სილამაზის თაყვანისმცემელი და საუკუნეების მანძილზე გამოშუაგებული ორნამენტის, „საიდუმლოების“ მფლობელია.

აი, თვალს ვაძვინებთ სახელმწიფელო ოსტატის ტიპკავერის მუშაობას, რომელიც პორტსიგარის სახურავზე გრავირებს. იგი საამყრობს საამქროდან მოტანებს, სადაც ვერცხლის ჩვეულებრივი ფირფიტისათვის კიდევები მოუღონიათ და შემოსუქლიანია. საჭირო იყო მისი მოჩუქროთმა. ოსტატმა მგრეული საჭრეთელი ორნამენტის კონტურები მოსაზა, შემდეგ სადგისის მაგვარი საჭრისი მეთორი — სახარხანისის მსავალი უბრალო საჭრისით შესცვალა... სათუთუნის სახურავზე ნელ-ნელა ტოტები, ფთილბი, სპირალბი, წნულბი და როზეტები განწდა. მართლაც, სატყარია „საბიჩუ-უსტას“ ოსტატობა.

ორნამენტის ამ სახეს „მარხარაი“ ჰქვია — ქართულად ეს ბარდნარს ნიშნავს.

— ამ ღამაზე ორნამენტს, ჩვენი აზრით, ბარდნარი არ უნდა ერქვას. — ვეუბნებთ ტიპკავეს, მაგრამ ოსტატი რის ოსტატია, თუ არ აგვისხნა.

— ასე იმიტომ ჰქვია, რომ როცა ამ ტოტებს უყურებ, ვერაფრით ვერ გაიგებ, სად იწყება და სად თავდება იგი.

„მარხარაი“ ყველაზე უფრო გავრცელებული ორნამენტია. ის არ ემორჩილება სიმეტრიის კანონებს, მოქნილი და პარმონიულია.

— აი, ეს კი „თუთთაა“, — გვიჩვენებს ტიპკავეი ტოტს სიმეტრიული ფთილბითა და ფლორებებით. — აქ იოლად გაადრებენ თვალს, საიდან იწყებს ზრდას და სად მთავრდება. — „თუთთა“ ტოტს ნიშნავს ყუბაჩურად.

გარდა ამისა, არის კიდევ ორნამენტი „თამგა“, რაც ღაქას ნიშნავს. „თამგა“ ტოტებით, თავებით და როზეტებით შივინიდან მოხატულია მედალიონია.

ვიდრე ჩვენ სხვა ოსტატების ნამუშევრებს ვეცნობოდით, ტიპკავემა მთავაგა პორტსიგარის სახურავის მოჩუქროთმა. მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ საქმის ნაწილია. ამის შემდეგ მოჩუქროთმებელი სახურავი იგზავნა მწვერვალ სთხით. ესაა — სევადი, რომელიც მოშადაბულია ვერცხლით, გოგირდით, წითელი სპილენძით და ტყვიით. ეს შენაერთი განახლილია კალაქის, მარლისი და ბორაის ხსნარში. ეს ხსნარ-წასმული სახურავი იგზავნება სახელოსნოს ქვედა სართულში, — სამსხმელ საამქროში, ზურდება ცეცხლზე, რის შედეგადაც ზედაპირზე მოსხმული სთხე ჩადის ჩუქურთმის ყოველ ჭრილში. შავი, თითქმის სარშვისაგან გათხუანული სახურავი ისევ ტიპკავეს უბრუნდება, რომელიც კლიბით იწყებს ზედაპირის დამუშავებას. ზედმეტი სიმაგე შორდება. ზედაპირი იღებს ვერცხლის-ფერს და მასზე უკვე ალამაზად მირანს ჩუქურთმის შავი მოხატულობა. დამუშავების ამ ტექნიკას „ჩიობილინი“ ჰქვია. „ჩიობილიონის“ დროს ზედაპირი საესებთ გლუვია. ამის გარდა, არსებობს კიდევ რამდენიმე სახის დამუშავება, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს.

სამსხმელ საამქროში ქურები ქიხიანენ, დაცურავს კვამლი, იქაურბა ნახშირის სუნითაა გაყვნილილი.

საამყრობი საამქროში ოსტატები დეტალებს პირველად დამუშავებენ ყველაზე. ყველაგან, ყოველ კუთხეში შრომის ცეცხლი და კეთილშობილი ლითონის ბრწყინვალეობა.

სახელოსნოს საყვობში, როგორც ზღაპრულ საგანძურში ისე ბრწყინავს ძვირფასეული, ვერცხლის ფურცლები, მამონტის სქელი მუგები, შუა ნაკეთობანი — ხანჯურები, პორტსიგარები, კავკასური ქაშრები და მოსარაგები: აი, ხანჯალი ვერცხლის ქაშრში. ვერცხლი მოსევადებული და ოქროფერილია. ტარი სპილოს ძელისა აქვს. მასზე მატყვიადა ამოკვე-



თლი რუსი რანდების და კავასიურის ნართების გამოსახულებები, გარეული მხეცები და ფინიკიური. ძვლის, თავისუფალი ადგილები დაფარულია ბაჯალო ოქროს, „თუთათი“ და „თამბაქო“. ვერცხლზე ნამუშევარი გულ „ჩინილონითა“ შესრულებული ოსტატ შამოვის მიერ.

საუკეთესო სამუშევრები, რამდენიმე ხნის წინ ხელოვნების მრეწველობის ინსტიტუტში გაიგზავნა მოსკოვში.

გაციანთი ძველი, — სახელგანთქმული ოსტატები, — ალიხან ახმედოვი, ჰაჯი კიშვი, ჰასან-ჰუსეინ კანნაფი, ჰაჯი-საიდ ყურბანოვი და სხვ.

ალიხან ახმედოვი, თეოფასი ნაკეთობების ოსტატი ორმოც წელზე მეტია რაც გრავირად მუშაობს. არც ერთი ღირსშესანიშნავი თარიღი არ გამოჩნება, რომ რაიმე შესანიშნავი ნამუშევრით არ აღნიშნოს. ნიუ-იორკში და პარიზში მოწყობილი მსოფლიო გამოფენების მონაწილეა. პარიზის მსოფლიო გამოფენაზე პერსონალური პრემია მიიღო. სამჭოთა მთავრობამ მისი ხანგრძლივი ნაყოფიერი შრომა „საპატიო ნიშნის“ ორდენით აღნიშნა.

ჰაჯი კიშვი ახმედოვზე ახალგაზრდაა, მაგრამ ოსტატობაში არ ჩამოუვარდება.

— რამდენიმე ათეული წელიდან არ გამოვიდა საჭრისი, — გვეუბნება იგი, — ადრე ვაწყობდი და ვამაგრებდი უნაკირის სართავეს, ხანალოს ტარებს და ვასრულებდი სხვა წყრილ საშუაშებს, რომელიც ნაკლებად მაინტერესებდა. სამაგიეროდ, როგორ ვცდილობდი როცა დაღესტნის საჭოთა ავტონომიად გამოცხადების დეკლარაციისათვის ჩარჩის მოთქეპრთმება დამავალეს. როგორ ვზარობდი, როცა ვუმზადებოდი საქართველო და მსოფლიო გამოფენებში მონაწილეობის მისაღებად.

...თუ მოხვცი ოსტატები ყუბაჩელების ოქროს ფონდია, ახალგაზრდები ყუბაჩელთა ხელოვნების მომავლია.

დაღესტნის შორეული მთის სოფელში მცხოვრები ახალგაზრდა ოქრომჭედლები, ბეჯითად ეცნობიან ხლომოგორელი და ჩუკოტკელი ძვლისმჭერლების ნამუშევრებს, მსჯელობენ ხელოვნების ახალ მოვლენებზე.

თავიანთი წინაპრების მსგავსად, რომლებიც აგროვებდნენ ფაიფურისა და ქაშანურის იშვიათობებს, რასულ ალიხანოვი გატაცებულია ორნამენტების ნიმუშების შეკრებით. მისი ოთახის კედლებზე გაკრულია წიგნებიან ამოღებული ლითონგრაფიები, სურათებიანი ბარათები, ფოტოსურათები.

ახალგაზრდა ოსტატმა ზეპირად იცის ამ სურათების დეტალები. ისინი მსვენებას არ აძლევენ მის შემოქმედებითს ფანტაზიას და ზეპირად ქალღმღწე ხაზავს თავის მიერ გამოგონილ ორნამენტებს.

რასულის საშუაშო ოთახში, ისე როგორც ბევრ სხვა სახლში, უამრავი ანტიკვარული იშვიათობაა. აქ არის არქიტექტურისა და ფერწერის ალბომები. მაგრამ მან გვიჩვენა თავისი მიერ გაკეთებული ალბომი. თურმე ახალგაზრდა ოსტატს ფეხით მოუვლია დაფიქრელთა ბევრი სოფელი, იხატვდა სხვათა ორნამენტებს სახელების კედლებიდან და საფლავის ქვებიდან, აუღია სოფელ ყალა-ყორჯიშის ცნობილი მქეჩიის კარის მოხატულობის პირი და ინახავს შთამომავლობისათვის. რასული ოცნებობს ალბომის დიდი ტირაჟით გამოცემაზე.

ესმება რა ნახატისა და კომპოზიციის ახალ ფორმებს, რასული შემოქმედების ფანტაზიას მიმართავდა პრაქტიკული

ამოცანების ამოსახსნელად. მან გვიჩვენა „მარხარაისის ტარქმელის“ სპირალები თეთრ ფილაზე.

— ასეთი ნახატის გამოყენება შეიძლება ხალჩების ქსოვისას, — გვეუბნება ალიხანოვი, — მხედეთ, რა ლამაზი იქნებოდა ასეთი ორნამენტით ნაქარვი ხალჩი.

რასული გვიჩვენებს „თამბაქო“ შესრულებულ ცისფერი და შინდისფერი ყვავილების კომპოზიციას.

— რატომ არ უნდა შემოვიღოთ ყუბაჩელებმა ფერადი სურათი? — გულდაწყვეტით გვეუბნება ის, — უყურეთ, რა სილამაზეა. ამის გამოყენება შეიძლება ფაიფურის წარმოებაში. ეს კი, ახალი ყუბაჩური ორნამენტია — „მოსკოვანკაში“. იგი შესანიშნავი გამოსაყენებელია წიგნებში.

— შე ყოველთვის ისეთ ორნამენტს ვეძებ, რომელიც ჩვენს ლამაზ, ბედნიერ ცხოვრებას შეესატყვისება. ჯერ ვერ ვიპოვე. მაგრამ ვიპოვნი! — ღიმილით გვეუბნება ახალგაზრდა „ხაბიჩე-უსაქა“.

როცა ახალგაზრდა რასული ორიოლთან ებრძოდა ფაშისტ დამპყრობლებს, მას დაებადა იდეა — ვერცხლის ფირფიტაზე საჭრისით გამარჯვების დიდება ეთქვა. ასეც უწოდა თავის მომავალ შრომს „გამარჯვების ორნამენტი“. სახლში დაბრუნებული რასული შეხება სიყრმის მეგობარს — ნიჭიერ გრავირს ჰაჯი-ბახმუდ მაგომედოვს და გაანდო გულის ნაღები. მეგობრები დიდხანს ფიქრობდნენ და ბოლოს ერთ არჩევანზე, წითელი მოედნის სასაკის კოშკზე შეჩერდნენ. იგი გამარჯვების სიმბოლოა. სწორედ ისაა გამოსახული მხედართა მთავართა უმაღლეს ჯილდოზე, ორდენზე „პობედა“ და ჯარისკაცის ორდენზე „სლავა“.

ორი თვე შეუცნებელად მუშაობდნენ ჭაბუკები. სადილობის დროსაც კი არ უნდოდათ საჭრისის გაშუება ხელიდან. ამ ხნის მანძილზე დაწყებულ საშუაშოზე უფრო ძვირფასი და მიზიდველი არაფერი იყო მათთვის. ყუბაჩურის ორნამენტის ყველაზე საუკეთესო ნიმუშები და ლითონის დამუშავების შესანიშნავი ტექნიკა შეერთდა ამ მინიატურული კოშკის კედლებზე.

მოსკოვში გამოფენაზე ამ ნამუშევარს უმაღლესი შეფასება ხვდა.

— ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი ლამაზი უნდა იყოს, — გვეუბნება რასული და თვლები უწრწყვიახს.

მუყათმა შრომამ, ახლის ძიებამ და უკეთესისაკენ სწრაფვა ჩააყენა რასულ ალიხანოვი და მისი მეგობარი — ჰაჯი-ბახმუდ მაგომედოვი ისეთ სახელგანთქმულ ოქრომჭედელთა რიგებში, როგორებიც არიან რასულის მამა ალიხან ახმედოვი, ჰაჯი კიშვი და სხვები.

გამოედვიართ სახლიდან, რომელიც კლდეზე ბუდესავითაა მიკრული. მის ბანზე უზარმაზარი ღრუბელი მიცურავს. ასეთივე ღრუბლები მიილაკებიან სოფლის დახვეულ „ქუჩებში“, რომლებიც სივრძივ მარკვებიან მაღალი სახლების კედლებს, ამ კედლებზე ირმების, ფრინველებისა და ნადირობის გამოსახულებებია ნაკვეთი.

...მანქანა ავიდა უღელტეხილზე. შორს, ყუბაჩი-დაგას მწვერვალზე ნისლით მოხვედნენ ოქრომჭედელთა სოფლის მკნობების გამოსახულებანი. იქ დარჩა ბევრი ჩვენი ახალი მეგობარი, შესანიშნავი ადამიანი. ისინი თავიანთ ოსტატობას საბჭოთა სახლის ცხოვრების გალამაზებას ახმარენ.

კვლავ მრავალჯერის გესახებინოთ ოქროს მარჯვენა და ხალხური ხელოვნება „ზირიხგერანის“ შესანიშნავო ნაწიერნი!



უკრაინული ბალეტი ყინულზე „საოცრებათა სამყაროში“

გულთბილად შეხვდა თბილისელი მყურებელი კვივის ბალეტს ყინულზე — „საოცრებათა სამყაროში“. ინტერესი იმითაც იზრდებოდა, რომ თბილისელებს კარგად ახსოვდათ ერთი წლის წინ მოსკოვის მოციგურავეთა ანსამბლის გასტროლები. „ჩვენი ახალგაზრდა ანსამბლი საგასტროლოდ პირველად თქვენს შესანიშნავ დედაქალაქს ესტუმრა. თბილისი ხომ თვატრალური ხელოვნების მდიდარი ტრადიციების მქონე ქალაქია.


თუ ჩვენი ხელოვნება „თბილისელებს რაიმე ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებს, ეს ამ ახალგაზრდა კოლექტივისათვის ნამდვილად ღიდი წარმატება იქნება“, — თქვა ანსამბლის მხატვრულმა ხელმძღვანელმა, დამდგმელმა რეჟისორმა, უკრაინის სახალხო არტისტმა ვახტანგ ვრონსკი-ნადირაძემ გასტროლების დაწყების სადამოს სპორტის ასახელში.

„ჩვენს ანსამბლში, რომელსაც ერთი წლის ისტორია აქვს — განაცხადა ბალეტ-მასტერმა კლივანმა, ცეკვავენ ისეთი სახელგანთქმული მოციგურავეები, როგორიცაა საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონები, სპორტის ოსტატები: ნადეჟდა კარბანიუკი და ვალენტინ ზახაროვი. სსრ კავშირის პრიზიორები ციგურებით ცეკვაში სვეტლანა ამირნოვა და ვალენტინ ბელიცკი. მოსკოვის

აეროტეზის ჩემპიონი 17 წლის სპორტის ოსტატი ტატიანა კატკოვსკაია და სხვანი“.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ ნიჭიერი კოლექტივის წევრები ღრმად ჩაწვდნენ ბალეტის გამოსახვის საიდუმლოებას და აღწევენ სპორტული ოსტატობის შერწყმას ხალხური ეროვნული საწყისების გამდიდრებულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებასთან.





ბალეტი ყინულზე წარმოდგენილი იყო ორ განყოფილებად.

პირველ განყოფილებაში — ძველ უკრაინას ვეცნობით. სანახაობა იწყება გოგოლის ცნობილი ზღაპრით — „შობის წინა ღამეს“. მოცეკვავეებმა გვიჩვენეს მოფიქრებული და მხატვრულად გააზრებული შესრულება და საინტერესოდ გამოძრწუნეს მოქმედ პირთა ხასიათები. მხატვარ ა. ზლოჩევსკის ბრწყინვალე ნამუშევარმა შექმნა ამ ზღაპრის შესატყვისი განწყობილება. განათების სხვადასხვა პარექციის უხვად გამოყენება, გემოვნებით შესრულებული კოსტუმები მეტად საინტერესო ეფექტს ქმნის. მაღალ მხატვრულ დონეზეა ა. სვეშნიკოვის, ა. რიაბოვის და ა. სანდლერის მიერ დამუშავებული უკრაინული მელოდიები. იგრძნობა სუფთა ეროვნული კოლორიტი.

ქრება სინათლე. ბნელი ღამეა. თოვს, ორკესტრი ასრულებს ფანტაზიას უკრაინის ხალხური სიმღერების თემაზე. მუსიკის სასიამოვნო პანგებს ნელი და ლამაზი სრიალით მიჰყვება ვარსკვლავების ცეკვა. ღრუბლებს შორის გამოანათებს მთვარე... რიტმის შესანიშნავი გრძნობით, ზუსტი და ნაზი მოძრაობით მთვარე — ტატიანა კატკოვსკაია ესალმება ვარსკვლავებს და იწყებს მათთან ცეკვას. მაგრამ უეცრად შავი ღრუბლებით იფარება ცა, ისმის გრვეინვა, ელავს. ყინულის მოედანზე შემორ-



ბის ემზაკი ვ. ბელიცკი, იგი ექსპრესიით ცეკვავენ. შმაგად დას-
დევს მივარეს, მივარე კი ვარსკვლავებში იმალება, მაგრამ
ამოდ. ემზაკი იტაცებს მივარეს და მალავს. ვარსკვლავები
ძველებურად აღარ ციმციმებენ.

ლირიკული განცდით ასრულებს ოქსანას როლს ნ. კარბა-
ნიუკი. მოცეკვავეები ერთმანეთს ერწყმის მომხიბველი უშუა-
ლობა, ქალღოობა და ტემპერამენტი, მოცეკვავე ქალს ღირსე-
ულ პარტიზორობას უწევდა ვალენტინ ზახაროვი (ვაკულა).
იგი სუფთად ასრულებს ილეეთებს, მაყურებელს ხიბლავს მაღა-
ლი და დახვეწილი ტექნიკით.

მეორე განყოფილება ნათელი და სიცოცხლით სავსე სცე-
ნებით იწყება. მას ჩვენს დღევანდლობაში შევყავართ. დარ-
ბაში გაისმის რ. ლაღიძის ცნობილი სიმღერა „თბილისი“,
რომელსაც უკრანელი გოგონა მაკოთონიუკი ასრულებს. სიმღე-
რას თბილისე ცვლის მასობრივი ცეკვა „ქართული“. მასში
ორიგინალურად არის გადმოცემული ქართული ცეკვის დამახა-
სიათებელი ილეუები.

და აი, ყველაზე თანამედროვე ნომერი პროგრამისა, კოს-
მონაგებების ცეკვა, კოსმოსში მიფრინავს ადამიანი, იგი იპყ-
რობს ვენერას. დიდი საბალეტო ჯგუფი ასრულებს კოსმონავტ-
თა ცეკვას. ამ ნომერში შესრულების მაღალ ტექნიკას და
სპორტულ ოსტატობას ავლენენ ა. ილიუხინი, ი. კრიუკოვი,
ი. ტეპო და ტ. კატკოვსკაია.

შთამბეჭდავია ცეკვები „ფრინველთა ფერმაში“, „მოციგუ-
რავთა ცეკვა“ და ბევრი სხვა. ქორეოგრაფიულ-მუსიკალური
თვალსაზრისით საინტერესო იყო აგრეთვე „პირველი პაემანი“,
რომელსაც შესანიშნავად ასრულებენ ტ. კატკოვსკაია და
გ. ბლნოვი.

„საოცრებათა სამყაროში“ შესანიშნავი სანახაობაა. ყი-
ნელზე ბალეტის ახალგაზრდა ოსტატებმა თბილისელები მო-
ხიბლეს მაღალი და დახვეწილი ტექნიკით, მოხდენილი ცეკვე-



ბით, მხატვრული კოსტუმებით. კოლმეტივი ჯერ მხოლოდ იწ-
ყებს ფართო შემოქმედებითს გზაზე გამოსვლას. ვუსურვით მას
წარმატება!

ნალი ზუაჩი (ფოტოები პ. შევჩენკოსი)





კინოკაქისორი სიკო დოლიძე

ლალი ყურულაშვილი

1921 წლის დეკემბრის ერთ სუსხიან საღამოს ისევ ხალხ-მრავალ რუსთაველის პროსპექტს ხალხის კიდევ ერთი ნაკადი შევიხნა. ესენი გამოვიდნენ კინოთეატრიდან, სადაც პირველ საბჭოთა ქართულ ფილმს — „არსენა ჯორჯიაშვილს“ უჩვენებდნენ. ახალგაზრდები ცხარედ კამათობდნენ ნანახის შესახებ, ხნიერები დარბაისლურად მსჯელობდნენ.

აგერ ხალხში ერთი ჭაბუკი მოაბიჯეს. სახეზე დაუფარავი აღტაცება აღბეჭდა. არსენას გმირობით გატაცებულმა, შობებულებებით დატვირთულმა ჭაბუკმა შინ მისვლისთანავე მაგიდას მიაშურა და სულ მალე თავისი გრძობა ლექსით გამოხატა. რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთ „ტრიბუნაში“ დაიბეჭდა სონეტი სათაურით „არსენ ჯორჯიაშვილს“, რომლის ავტორი იყო ვინმე სიმონ დორელი. უცნობმა გვარმა მიიქცია მეთიხველის ყურადღება და ლიტერატურული საზოგადოებრიობა დაინტერესდა „ნაუცებათევი სონეტის“ ავტორის ვინაობით. აღმოჩნდა, რომ სიმონ დორელის ფსევდონიმის ქვეშ იმალებოდა მაშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, დღეს კი ყველასათვის კარგად ცნობილი კინორეჟისორი, სცენარისტი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი სიკო დოლიძე.

1921 — 1924 წლებში სტუდენტობის პერიოდში სიკო დოლიძე, აქტიურად ჩაება ლიტერატურულ ცხოვრებაში; წერდა, მონაწილეობდა დისკუსიებში, კითხულობდა, ხშირად ესწრებოდა წარმოდგენებს, კონცერტებს, კინოსურათებს. ეს უკანასკნელი, მთელი მისი საიდუმლოებით, ფართო შესაძლებლობითა და მრავალმხრივობით, განსაკუთრებით იზიდავდა ს. დოლიძეს და მან გადაწყვიტა ახლო გაცნობოდა ხელოვნების ამ დარგს, ღრმად ჩასწვდომოდა ყველა მის საიდუმლოებას.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სიკო დოლიძემ გადადგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯი მიხნისაკენ — დაიწყო მუშაობა საკინოწარმოებში ადმინისტრატორად, შემდეგ რეჟისორის ასისტენტად, 1928 — 1929 წლებში ქორინიალური ფილმების რეჟისორად. გამოცდილმა კინემატოგრაფისტებმა მაშინვე შენიშნეს ს. დოლიძის შესაძლებლობები და უწინასწარმეტყველეს დიდი მომავალი კინოხელოვნებაში.

მალე გამოაქვინა ნიჭიერმა ახალგაზრდამ თავისი უნარი; გაამართლა უფროსი ამხანაგების წინასწარმეტყველება, მოიპოვა ფართო მაცურებლის აღიარება. ეს იყო 1930 წელს, როდესაც საქართველოს ეკრანებზე გამოვიდა სიკო დოლიძის მირი დაგმეში პირველი ფილმი „ზვავთა სამეფოში“ (ოპერატორი ავდეცი). ს. დოლიძესვე კუთვნიდა ფილმის სცენარიც. ეს ფილმი, რომელშიც ასახული იყო ასათი ცხოვრების შემოქმერ სოფლად, კოლექტივისაცა და მასთან დაკავშირებული კლასობრივი ბრძოლა, აღიარებული იქნა თავისი დროის ერთ-ერთ კარგ მხატვრულ ნაწარმოებად. მისი ავტორი კი — საიმიდო მშარდ ძალად, თუმცა რეჟისურები ფილმის ზოგიერთ ფორმალისტურ ელემენტებზე მითითებდნენ.

ამრიგად, კინემატოგრაფიაში მუშაობის პირველივე ნაბიჯებიდან ნათლად გამოვლინდა სიკო დოლიძის, როგორც რეჟისორისა და სცენარისტის, ფართო შესაძლებლობები. შემდეგ ნიჭსა და საქმისადმი სიყვარულს დაემატა გამოცდილება ცხოვრების ცოდნა, დაიხვეწა გემოვნება და დღეს ქართველ კინემატოგრაფისტთა ოჯახს ს. დოლიძის სახით ძველ ერთ-ერთ საუკეთესო რეჟისორი და სცენარისტი. ს. დოლიძის ფილმებმა: „უკანასკნელი ჯვარისნიჭი“, „დადიკო“, „მეგობრობა“, „ჯურ-დაის ფანი“, „პოტიონი“, „ფატიმა“, „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ ფართოდ გაუთქვეს სახელი მათ შემქმნელს საქართველოს საზღვრებს მიღმაც. ს. დოლიძის ყველა ფილმში გამოვლინდა, მეტნაკლებად, მისი შემოქმედებითი რეჟისორული და დრამატურგიული თავისებურებები.



სიკო დოლიძე

არ შეიძლება შეიქმნას კარგი ფილმი, რომელიც გაუძღვება საბჭოთა მაცურებლის გაზრდილ მოთხოვნილებებსა და დროს, თუ მას საფუძვლად არ უდევს კარგი სცენარი. ასეთის შექმნა კი საკმაოდ ძნელია, რადგან „დრამატურგიული ფორმა — ლიტერატურის ყველაზე უფრო ძნელი ფორმაა (მ. გორკი). ყოველი კარგი ლიტერატურული ნაწარმოები მორიდ გამოდგება სცენარად. ეს იმიტომ, რომ კინოს აქვს მრავალი კანონი და მოთხოვნა, რომელსაც სცენარი უქვეველად უნდა აკმაყოფილებდეს. თუ კარგად არ იცნობს კინოხელოვნებას, მის კანონებს, ის მწერლისთვის ძნელია ნებისმიერს დაწეროს! სიკო დოლიძის სახით ჩვენ ვხედავთ იმ ბუნებრივ დამთხვევის მაგალითს, როდესაც ერთმანეთს თანაბარი ძალთი ერწყმის ლიტერატურული ნიჭი და კინემატოგრაფიის კანონების ზედმიწევნით ცოდნა. მისი სცენარები ყოველთვის კარგ ლიტერატურულ ნაწარმოებს წარმოადგენენ. ამავე დროს, იძლევიან მშდდარ, მომეკებიან მასალას ფილმის შესაქმნელად. ს. დოლიძის სცენარებში სიტუაციები ყოველთვის დაძაბულია და მართალია, ხასიათები მკვეთრად არის გამოკვეთილი, გმირების მოქმედება ლოგიკურია და ბუნებრივი, ეპიზოდები გამომსახველია და სხარტი;



მთლიანად სცენარები კომპოზიციურად ისეა შეკრული, რომ ძნელია მათში რაიმე ზედმეტის, არასანბნერესოს, ნაძალადევის აღმოჩენა. გმირთა სამეტყველო ენა სახიერია, ნათელი და მოქნილი. დიალოგები მზა არისოღეს არ არის გაჭიანჭიებული, გმირთა სახილველ მზა ნიბების სახით არ არის მიცემული. ბუნებრიობას ანიჭებს ს. დოლიძის მიერ გამოძიწილ სახეებს ისე, რომ ისინი თანმიმდევრულ არიან, მოქმედებენ ხასიათის ლოგიკის კარნახით. ასე მაგალითად, ფილმი „უკანასკნელი ჯვაროსნები“, მაცურებლის თვალწინ იზრდება და ყალიბდება თორღვაი, მაცურებლის თვალწინვე იძიწრება იბრაგიმის სახე ფილმიდან „ფატიმას“, ჭრიჭინას სახე და სვ. ს. დოლიძემ იცის, რომ კინორეჟისორების საფუძველია კარგად დამუშავებული დამაჯერებელი კინოფიქტი, ძლიერად გამოკვეთილი, განვითარებაში მყოფი ხასიათები და დახვეწილი ენა.

ს. დოლიძეს აქტუალურობის, ახლის შერძინების დიდი უნარი აქვს. იგი კარგად გრძნობს თუ რა სჭირდება, რა აინტერესებს მაცურებელს და ცდილობს კინოხელოვნების საშუალებით პასუხი გასცეს ამ საკითხებზე. მაგალითად დოლიძემ ფილმით „ზავთა სამეფოში“ ერთი პირველთაგანი გამოიხატა ისეთ დიდ მოვლენას დიდი ქვეყნის ცხოვრებაში, როგორც იყო კოლექტივიზაცია. ჩვენი აღთქმითავე უშვებდა ს. დოლიძემ 1932 წლის 23 აპრილის ისტორიულ დადგენილებას. პირველი ქართული ფილმი, შექმნილი ამ დადგენილების საპასუხოდ, იყო მისი „უკანასკნელი ჯვაროსნები“, ა. ფადეევის მიერ „სოციალისტური რეალიზმისავე საჭიკინწრების მკვეთრ შემობრუნებად“ აღიარებული. საბჭოთა ახალგაზრდობის საკითხს მიუძღვნა სკოლ დოლიძემ ფილმები „ჭრიჭინა“ და „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, საბჭოთა ომს — „ჯურადეს ფატიმას“, ხალხთა შვიკობის თემას — ფილმი „მეგობრობა“. ს. დოლიძის შემოქმედებაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ხალხთა მეგობრობის უკვდავ თემას, რომლის მავალთობასაც ვხვდებით ფილმებში: „ჯურადეს ფატიმას“, „ეთერის სიმღერა“, „ფატიმა“. განა მართკ ამ ფილმების სიუჟეტში, თვით მათ შემქმნელთა ურთიერთობაშიაც კი ჩანს ამ თიადი მეგობრობის იდეის სიმტკიცე, რა ზედად არის დაფუძნებული ჩვენი ქვეყნის ძიიერება. თანაბარი ენთუზიაზმით, სიყვარულითა და პასუხისმგებლობის გრძნობით იღვწოდნენ ზემოხსენებული ფილმების გამარჯვებისათვის ქართული, რუსი, უკრაინული, ოსი, ყაზარდოელი და ამ ერთობლივმა შრომამ სათანადო ნაყოფიც გამოიღო.

ს. დოლიძეს, როგორც სცენარისტს, კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებიც აქვს ეკრანისზეული. ასეთებია ჯგ. ნინოშვილის ორი მოთხრობის — „სიმონასა“ და „მოსე მწყურალის“ საფუძველზე შექმნილი სცენარი ფილმისათვის „დარიკო“ და ოსური ლიტერატურის კლასიკოსის კ. ხეიაურავის პოემის — „ფატიმას“ ეკრანისზეაცა. ს. დოლიძე ორივე შემთხვევაში ძალიან ფაქტულად ეყრება ავტორს, ძირითადად მის მიერ შექმნილ სიუჟეტურ ხაზს მისდევს და ცვლილებები შეაქვს მხოლოდ ნაწარმოების თანამედროვეობასთან დახლოებისა და კინემატოგრაფიულობის გაძლიერების თვალსაზრისით.

ასე მაგალითად, ეგ. ნინოშვილის გმირების უმოქმედობა, ბედის მორჩილება ს. დოლიძემ შეურიგებლობით, მებრძოლი სულისკვეთებით შესცვალა და ამით სიუჟეტის საგნობობადად გაამძაფრა. სიმონა ძალაძის ნაცვლად მთავარ გმირად გუგუის ქალის — დარიკოს სახის წინ წამოწვეით ავტორმა ორი ამოცანა გადაწყვიტა: პირველი ის, რომ მაცურებელს მებრძოლი

ქართული ქალი უჩვენა, რაც მანამდე ქართულ ეკრანზე არ უჩვენებია; ხოლო მეორე და მთავარი, ის, რომ ამ ერთი პერსონაჟის წინაშე იყვამ ავტორის საშუალება მისცა ორი სხვადასხვა სიუჟეტის მოთხრობა ერთი ხაზის ირგვლივ შეეჯამებინა.

რაც შეეხება კ. ხეიაურავის „ფატიმას“, მიუხედავად იმისა, რომ ეს პოემა ძალიან მდიდარ მასალას წარმოადგენს ეკრანისზეებისათვის, შეუძლებელი იყო სცენარისტი ზუსტად გამოეყოფა ავტორს.

მაშინაც უნდა ს. დოლიძეს სცენარში ზოგიერთი ისეთი ეპიზოდის შეტანა, რომლებიც პოემაში არ იყო, მაგრამ სცენარისტმა ისე დაუმორჩილა ისინი ნაწარმოების მთლიან ხასიათს, რომ ახლა მათი გამორჩევა საკმარისი არის ნათქვამი, რომ ასეთმა ცვლილებამ — რუსი ინჟინერის როლის გაზრდამ სცენარში, საგრძნობლად აამალა ფილმის სოციალური ჟღერადობა. პოემაში მხოლოდ ორიოდ სიტყვით არის ნათქვამი, ფატიმას შემოსემა, პატარა ჯამბულატი რუსმა ინჟინერმა წაიყვანაო. სცენარის ავტორმა კი იგი მჭიდროდ შეიყვანა სიუჟეტურ ქარავში. რუსი ინჟინერი ყველგან დახმარების ხელს უწყობს ადგილობრივ მოსახლეობას და ამიტომ აღარ არის გასაკვირი, რომ სოფელმა ადგილად გაატანა ბავშვი უცხო ტომის ადამიანს. თვით ფატიმას, იბრაგიმისა და ჯამბულატის ურთიერთობაში, მათ ცხოვრებაშიც შეიტანა ს. დოლიძემ მცირედიანი ცვლილებები და ამით უფრო ქმედითი, მძაფრი გახადა სცენარის სიუჟეტი.

ამრიგად, ს. დოლიძის მიერ შექმნილი ფილმების უმრავლესობას საფუძვლად უდევს მისივე სცენარი. რა ღაღან იგი ერთ-ერთი მოწინავე ქართველი სცენარისტიცა, ამიტომ პირველი აუცილებელი პირობა კარგი ფილმის შესაქმნელად — კარგი სცენარი — რეჟისორ ს. დოლიძეს თითქმის მუდამ ხელთა აქვს. ამის შემდეგ იწყება ახალი, არანაკლებ მძიმე და საპასუხისმგებლო პერიოდი ფილმის ავტორის შემოქმედებაში — ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანზე გაცოცხლება. ს. დოლიძის ყველა ფილმს ახასიათებს მთელი რიგი საერთო ნიშნები, რომლებიც ერთ მთლიანობაში რეჟისორის ხელწერას შეადგენენ. ასე, მაგალითად, რა ეპოქას, რა ამბავსაც არ უნდა ასახავდეს ს. დოლიძის მიერ შექმნილი ფილმი, იგი ყოველთვის ღრმად ეროვნულია, ქართულია. ჯერ კიდევ შემოქმედების პირველ წლებში, ს. დოლიძის პირველი შესანიშნავი გამარჯვება „უკანასკნელი ჯვაროსნები“ ერთხმად იქნა აღიარებული „ნაციონალური ფორმის“ ფილმად და განა მარტ „უკანასკნელი ჯვაროსნები“. ს. დოლიძის ყველა ფილმში დაცულია ეროვნული კოლორიტი, ხასიათები, ეროვნული ყოფის დამახასიათებელი ელემენტები.

ჭრიჭინა ნებივრად აღზრდილი ფუჭსავეტი გოგონაა. ასეთი შემოცნება იყოს ქართულიც, რუსიც, უზბეკიც, ტაჯიკიც. მაგრამ ხასიათით, შინაგანი ბუნებით და ამ ბუნების გარკვენი გამოხატებით ჭრიჭინა მხოლოდ და მხოლოდ ქართველია.

ს. დოლიძის ყველ სურათს, ყოველ მის გმირს აქვს სრულიად გარკვეული შინაგანი, რაღვან თვით რეჟისორის უხედა აქვს ეროვნულობის მეგრძნების უნარი. სწორედ ეს თვისება დაქმნარა ს. დოლიძეს იმაში, რომ ფილმში „მეგობრობა“ უკრაინელები მართკ სახელით და გვამით კი არ იყვნენ უკრაინელები, არამედ ზროვნებით, მოქმედებით, რომ „ჯურადეს ფატიმას“ ყოველი გმირი გარკვეული ეროვნული თვისებებით წარსდება მაცურებლის წინაშე, რომ კინოსურათ „ფატიმას“ პერსონაჟები უხედა ატარებენ ოსი ხალხის ეროვნულ თვისებებს.



ს. დლოიძის ამავე თვისების შედეგია ის პატრიოტული სულსაფრეთვეც, რომლითაც არის გამსჭვალული ყველა მისი ფილმი.

სამამული ომის პერიოდში, როდესაც მთელი საბჭოთა ხალხი მტკიცედ დგას ჩვენი ქვეყნის სადარაჯოზე, ს. დლოიძემ პირველ ე. ლინინთან და რევისი და რ. დლოიძთან ერთად შექმნა პატრიოტული მუსიკალური ფილმი „ჯურღლის ფარი“. ფილმს შესვლად დიდეს ლეგენდა ქართული გიმნაზია — ჯურღლის საფსახებ. და მიუხედავად იმისა, რომ ეს ლეგენდა შორეული წარსულის ამავსე მოგვითხრობს, ფილმის ავტორებმა შეძლეს მისი ოსტატურად დაკავშირება თანამედროვესათან, ხალხის იმ უმაგალითო გმირობასთან, რომელიც საბჭოთა ადამიანებმა სამამული ომის დროს გამოიჩინეს. ეს ფილმი ომის მძიმე დღეებში მებრძოლებში ნერვავდა პატრიოტულ გრძნობებს, მოუწოდებდა მათ ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ.

საბჭოთა ადამიანები, მათი სიყვარული სამშობლოსადმი, მათი ბუნებრივ შრომითი ცხოვრება გვიჩვენა ს. დლოიძემ მთელ რიცხვს ფილმებში: „მეგობრობა“, „ჭრიჭინა“, „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, „საბჭოთა საქართველო“.

კიდევ ერთი, არანაკლებ ნათლად შესამჩნევი თვისებაა ს. დლოიძის შემოქმედებისა არის ზეაწვეულობა, რომელიც ოსტატურად შერწყმული დრმა რეალისტურობასთან. თითქმის, სრულად ბუნებრივია, როდესაც ფილმებში „უკანასკნელი ჯგარისნები“, „დარიკო“, „ჯურღლის ფარი“, „ფატიმა“ და „ეთერის სიმღერა“ ჭარბად იგრძობა რომანტიკული განწყობილება, მაგრამ იგივე რომანტიკულობა, ზეაწვეული ტონი, ფილმებში „მეგობრობა“, „ჭრიჭინა“, „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ — უდავოდ რეალისტრის მანერაზე მიუთითებს. როდესაც ს. დლოიძის შემოქმედებამ უკანასკნელად, არ შეიძლება დავივიწყოთ მისი დამახასიათებელი კიდევ ერთი თვისება. ერთი, ან ორი გმირის წინა პლანზე წამოიწვება და მთელი მოქმედების მათ ირგვლივ კონცენტრირება.

თუ ფილმი „დარიკო“ ამით ს. დლოიძემ ვერა ნინოშვილის არი მოთხრობა შეაკავშირა ორგანულად, ფილმში „ჭრიჭინა“ მთელი მოქმედების ჭრიჭინას ირგვლივ დარაზმებით შემოდ ყველაფერი ნაწარმოების ძირითადი აზრისათვის დაეკავშირება; ხილო იმით, რომ ფილმში „ფატიმა“ მთავარი ყურადღება ყრმა იბრაჰიმის ბედ-იღბალს, ფატიმას და იბრაჰიმის უთითებლობას დაეთმო, რეჟისორმა საგრძნობლად გააღრმავა ფილმის სოციალური მხარე.

რაცინდ მძაფრად დრამატული, ან ტრაგიკულიც არ უნდა იყოს ს. დლოიძის ფილმის სიუჟეტი, იგი მაინც ჯანსაღ ოპტიმიზმურ განწყობას ტოვებს. მიუხედავად იმისა, რომ ფილმში „უკანასკნელი ჯგარისნები“ ოთხი ადამიანი იღუპება. ერთი წუთითაც არ სუსტდება რწმენა, რომ მოივდა ახალი ცხოვრება, ახალი წარმოიბუება და მოუტანა ხალხს ბედნიერება და სიხარული: მოამბოების რწმენითა და სიოცების სიყვარულით არის გამსჭვალული ს. დლოიძის ფილმები.

საზოგადოდ, ხელოვანის პირადი თვისებები ყოველთვის პოულობენ გარკვეულ გამოსახულებას მის შემოქმედებაში. ალბათ, ამითაც შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ს. დლოიძის, ბუნებით შრომისმოყვარე და ენერგიულ ადამიანს, ასე ეხერხება ევრანზე შრომითი პათოსის ასახვა, რაც განსაკუთრებულ სიძლიერით ჩანს ფილმებში „მეგობრობა“, „ჭრიჭინა“ და „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“.

კიდევ უფრო სრულყოფილად ასახავს საბჭოთა ხალხის

შრომითი ცხოვრებას კინოფილმი „საბჭოთა საქართველო“ (1952 წ.). იგი განკვეთილია დღას ს. დლოიძის შემოქმედებაში. ეს არის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, რომლის ძირითადი მიზანია მაყურებლის უჩვეულის დღევანდელი საქართველო, მისი ადამიანები, შრომა, ზრდა, ის ვაგონარი მიღწევები, რომელიც ჩვენმა რესპუბლიკამ მოიპოვა.

ექვს წელიწადზე მეტი გავიდა ამ ფილმის გამოსვლიდან. ბევრი რამ შეიცვალა ქართული ხალხის ცხოვრებაში. ბევრი ახალი მოვლენა დაიბარა მან. ამ ახალ წარმატებებს მიუძღვნა ს. დლოიძემ თავიერი მორე სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა საქართველო“ (1958 წ.). ქარგა სცენარისა აქ, თითქმის, იგივეა, რაც წინა ფილმში, მაგრამ საკმარისია ენახათ ორივე ფილმი, რომ დავრწმუნდეთ: ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს რესპუბლიკაში განვლილი 6 წლის მანძილზე, ბევრი რამ აშენდა. სახე იცვლება ქალაქებმა და სოფლებმა. უცვლელი დარჩა მხოლოდ ხალხის მშობლივი აღმაფრენა, სწრაფვა ახალ-ახალი გამარჯვებების მოპოვებისაკენ.

ცხოვრება არის ძირითადი მასალა ხელოვანისათვის. ეს ამიტომ ხელოვანისათვის, უდავოდ მნიშვნელოვან აქვს ცხოვრების სიფუფუნოან შესწავლას, ადამიანებზე დაკვირვებას, მათ ბუნებაში ჩაწვდომას, ჩვევების სწორად დანახვას. საბჭოთა ადამიანის ბუნების სწორად გაგება, საკომპლენო სოფლის თუ დღევანდელი ქალაქის ცხოვრების კარგმა ცოდნამ დიდად დღეუაყო ხელი ს. დლოიძეს შეექმნა ისეთი შესანიშნავი ფილმები, როგორცაა: „მეგობრობა“, „ჭრიჭინა“, „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“. ხალხის ყოფის, მათი ზნე-ჩვეულებების დეტალურმა შესწავლამ დიდი როლი ითამაშა ისეთი ფილმების წარმატებაში, როგორც არის „ზევათა საფუფონი“, „უკანასკნელი ჯგარისნები“ და „ფატიმა“. მხატვრული სისხელი, დიდი ოსტატობით აცნობს ეს ფილმები მაყურებელს მთის ხალხების ბუნებას. მაგრამ ფილმის გამარჯვების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას გადადებენ კუჭვის სწორად შერჩევა წარმოდგენს. ადამიანებს, რომლებიც მოწოდებულნი არიან შექმნან ერთი მხატვრული ნაწარმოები, უნდა ესმოდეთ, სჯეროდეთ, სწამდეთ ერთმანეთისა. ასევე დიდი, შეიძლება ითქვას, გადაწყვეტი მნიშვნელოვან აქვს როლებს სწორად განაწილებებს. ს. დლოიძის უტყუარი რეჟისორული აღლო აქვს. ძალიან ფაქიზად, სერიოზულად ეკიდება იგი მსახიობთა შერჩევის საკითხს; ცდილობს, ყველა, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო ეპიზოდურ როლზე, აიყვანოს პროფესიონალი მსახიობი. და ყოველთვის, გარდა ძალიან მცირე გამონაკლისისა, შეუცდომლადაც ანაწილებს როლებს. რითაც მუშაობის დაწვეებისთანავე ქმნის გამარჯვების საწინდარს.

განა შეიძლება დამარცხებულიყო რეჟისორი, რომელსაც სურათ „დარიკოს“ შექმნის დროს მხარში უდგენენ მსახიობები ნინო ჩხეიძე, შალვა ღამბაშიძე, ციცილია წიწყუნავა, სანდრო ჟორდანიანი, სერგო ზაქარაიძე, არგაგი ხინთიბიძე და სხვები. მოიხსენიებენ, როდესაც მთავარი როლის შემთხვეულად ფილმში მოწვეული იყო სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელი თამარ ციციშვილი? რა თქმა უნდა, არა! და ასეა ყოველთვის, ყველა ფილმში. მსახიობებმა და გამრეკლმა, და ბადრიძემ, ნ. გრიშკომ, ნ. ჩახიძემ, ვ. ჭაბუკიანმა, ნ. ჯაფარიძემ გამარჯვება მოუტანეს ფილმს „ჯურღლის ფარი“, ც. წიწყუნავამ, შ. დამანიძემ, და ახაშიძემ, ა. ომიანიძემ, დ. ჟორდანიანმა, გ. გვიგუშკოვამ, ნ. ჩახავამ და სხვებმა ფილმს „ჭრიჭინა“, გ. ეთემულიძემ, ნ. რიყვამ, ნ. ჯაფარიძემ, ი. ვინოგრადოვამ, გ. საღარაძემ შექმნეს შესანიშნავი სახეები



ფილმში „ეთერის სიმღერა“, დიდი ღვაწლი მიუძღვის კინოსურათ „ფატჩიას“ გამარჯვებაში მსახიობებს ა.კ. ვასაძეს, თ. თხაძასვეს, ა. თბიძეს, ე.კ. ამირჯიხის, კ. დაუშვილს, დ. მა-ნივეს და სხვებს. კინოფილმში „დღე უკანასკნელი, დღე პირ-ველი“ მოქალაქე პატარა როლებში მსახიობებმა ა.კ. ვასა-ძემ, გრ. ტყაბლაძემ, იპ. ხვიჩიამ, ემ. აფხაიძემ დასამახსოვ-რებელი სახეები შექმნეს. აღარას ვაზიბოთ მთავარი როლის შემსრულებელ ს. ზაქარაიძეს, რომელიც ფილმის ღერძს წარ-მოადგენს. მაგრამ ყველა დასახელებული მსახიობის წარმა-ტება, რაგინდ დიდიც არ უნდა იყოს იგი, მარტოიდან რეჟი-სორის დასახურებად ხომ არ შეიძლება ჩაითვალოს! გამოც-დელ მსახიობს, ოსტატს თავისივე ბევრი მოქმე. გატყუებული უფრო დიდია ს. დოლიძის ღვაწლი ახალგაზრდა მსახიობებ-თან მუშაობის დროს. ის, რომ სრულიად ახალგაზრდა, გამო-უცდელმა თამარ ციციშვილმა შესანიშნავად განასახიერა ქარ-თველი გლეხი ქალი, გვიჩვენა მისი გარდაქმნა მოგრძობლე-ლი „უფრო“ არსებთან უმოპირ, შეუპოვარ მებრძოლად და ამავ დროს შეუნარჩუნა მას ქალური სინაჟე, მიზნუფლებობა და სიფაქიზე — ეს პირველი რიგში ს. დოლიძის დასახურე-ბაა. ს. დოლიძის გულმოდგინე, გულისხმიერი დახმარებით შექმნეს მხატვრულად საინტერესო სახეები ახალგაზრდა მსა-ხიობებმა: მ. ხერხეულიძემ („უკანასკნელი ჯარისკენი“), ლ. აბაშიძემ, რ. ჩხვიკაძემ, დ. აბაშიძემ („ჭირბოხნი“), თ. მეღვი-ნეთუხუცესმა, გ. ჭოხონელიძემ, თ. კიკოფამ („ფატჩიას“), ბ. მირიანაშვილმა, გ. ჭოხონელიძემ, ბ. გორგილაძემ („დღე უკა-ნასკნელი, დღე პირველი“). ამა თუ იმ სახის ჩანაფიქრი გა-ნაპირობებს ს. დოლიძისათვის მსახიობის არჩევანს, ხოლო არ-ჩეული მსახიობის შემოქმედებითი თავისებურება კარნახობს იმ კონკრეტულ მხატვრულ ხერხებს, რომელთა მეშვეობითაც ახორციელებს რეჟისორი თავის ჩანაფიქრს. ასეა ყოველთვის, გარდა მცირე გამონაკლისისა. მაგრამ გამონაკლისი მაინც არ-სებობს. ასეთია, მაგალითად, მსახიობი ვ. კვაჭაძე, რომელმაც მარცხი განიცადა ზ. ფალაიშვილის როლულს და საპასუხის-მგებლობა როლში, რითაც დიდი ზიანი მიყენა ფილმს. ვერ დაძლია ინიერის როლი ფილმში „ფატჩიას“ მსახიობმა ვ. რუსინოვამც. ორივე შემთხვევაში მსახიობის არასწორ შერჩე-ვას ქონდა ადგილი. მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათია.

მსახიობებისათვის, ისევე როგორც ფილმის შემქმნელი კო-ლექტივის ყველა წევრისათვის, ს. დოლიძისთან მუშაობა ადვილია იმიტომ, რომ მას თავადიწვევით უყვარს ხელოვნე-ბა და ამასვე უნერგავს ყველას. მას კარგად ესმის, რომ ტემ-მარტივ შემოქმედებითი ატმოსფეროს შესაქმნელად საჭიროა რეჟისორს უყვარდეს მსახიობი, საყრდელს მისი, წარმატოვ-ნებს მას და არა მმრძანებლობებს. მარტო მსახიობის კი არა, ჯგუფის ყოველ წევრს აძლევს ს. დოლიძე საშუალებას გა-მოიჩინოს ინიციატივა, რითაც ქმნის ნამდვილ შემოქმედებით ატმოსფეროს. ჯგუფში ს. დოლიძეს ყოველთვის აქვს მცაცრი საწარმოო დისკიპლინა; მის დაცვას მოითხოვს ყველასაგან და მაგალითსაც ითვითნ იძლევა, ძალზე მომთხონენია როგორც საკუთარი თავისადმი, ასევე ყველა მუშაკისადმი. ამავ დროს ადამიანებისადმი გულისხმიერია და ყურადღებანი.

კარგი ფილმის შესაქმნელად, სხვა თვისებებთან ერთ-თად, რეჟისორს უძველად უნდა გააჩნდეს ზომიერების გრძნობა, მხატვრული ტაქტი და ალღო. რომ არც ამ თვისებებს არის მოვალეული ს. დოლიძე, ჩანს მის მიერ შექმნილ ყველა ფილმში. განსაკუთრებით ნათლად კი „ჭირბოხნიში“, რადგან, როგორც ცნობილია, გადაჭარბების

საფრთხე ხელოვანს სწორედ კომედიურ ნაწარმოებზე მუშაო-ბისას მოვლის. მაგრამ ს. დოლიძემ დაკვირვებული შემოქმე-დებითი შრომის, ყოველი ეპიზოდის სერიოზული და ღრმა გასარების შედეგად, ეს საშინოვანი თავიდან აიცილნა. ფილმი „ჭირბოხნი“ არის გონებასახელი, ხალისიანი, მსუბუ-ქი, მხიარული კომედია; ეს არის შესანიშნავი, ცოცხალი, ზომიერი იუმორით სავსე მოთხრობა საბჭოთა ქალიშვილზე. ეპიზოდებში დაცულია ტაქტი და ზომიერება. და სწორედ ამიტომ უფრო უსიამოვნოდ ხვდება თვალს ის ერთი-ორი მცირე „შეცილება“, რომელიც თავის დროზე აღნიშნა პრე-სამაც.

ტემპმარტივი ჰუმანიზმით, მკვეთრი კინემატოგრაფიული ოსტატობით არის აღბეჭდილი ს. დოლიძის უკანასკნელი ფილმი „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, რომლის ცენტრ-შიც მოქცეულია დადებითი საბჭოთა ადამიანების სახეები, გა-მოძიქრული დიდი სიბოთითი და სიყვარულით. სწორედ ამ და-დებითი გმირების თვალთახედვით გვიჩვენებს ს. დოლიძე ცხოვრებას, რაგინდ მან კარგად იცის, რომ ცხოვრების ტემ-პმარტივ ბატონ-პატრონი ეს გმირები არიან, დაფიქრებულად იმისაგან, თუ რა თანამდებობა უკავიათ მათ. რეჟისორი და მსახიობი ს. ზაქარაიძე არწმუნებენ მაყურებელს, რომ არ არ-სებობს პატარა, უმნიშვნელო საქმე, მით უმეტეს კი სამარ-ცხენო, სათავილო საუბრო.

ს. დოლიძის შემოქმედებითი გზის, მის თავისებურებათა განცნობისა და შეჯამების შედეგად ნათელს ხდება, რომ ქარ-თულ კინემატოგრაფიას მისი სახით ჰყავს ერთი საინტერესო, თავისებური რეჟისორი და სცენარისტი. მაგრამ მის შემოქმე-დებს გააჩნია ჩრდილოვანი მხარეც. ასეთია ფილმი „ეთე-რის სიმღერა“, რომელმაც ჯეროვანი წარმატება ვერ მოიპოვა, ს. დოლიძის ფიციუმისათვის ჩვეული სიყვარული ვერ დაიმი-სახურა და საკმაოდ მაღლე ჰყოცა ქართული ეკრანი. თუმ-ცა შედარებით უკეთ მიიღო ეს ფილმი რუსმა მაყურებელმა.

მიუხედავად მარცხისა, ფილმმა „ეთერის სიმღერა“ მინც შესულ ერთგვარი სარტყლისათვის მოტანა, — მან გასამაჯოლნა ის სინქლეები, რომლებიც წინ ეღობებოდა ზ. ფალაიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ეკრანზე ასახვას და ამით გზა გაუკავა მომავალ ხელოვანს, რომელიც ოდესმე ხელს მოკი-დებს ამ მეტად მიძიმე და საპატიო საქმეს.

ს. დოლიძე არის კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის სა-ქართველოს საორგანიზაციო ბიუროს ერთ-ერთი ორგანიზატორი, ბიუროს თავმჯდომარე დღემდე მისი დაარსებისა.

მაგრამ სიკო დოლიძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს არა თრე-ბიუროს თავმჯდომარეობა, არა სამხატვრო საბჭოს თუ სხვა კომისიის წევრობა, არამედ მისი, როგორც დიპუტატის საქ-მიანობა. ს. დოლიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ხუ-თი მოწვევის დიპუტატია.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად შეაფასა სიკო დო-ლიძის შემოქმედებითი მუშაობა და არაერთგზის დააჯილდოვა იგი; 1939 და 1949 წ. — შრომის წითელი დროშის ორდენით, 1946 წ. საპატიო ნიშნის ორდენით, 1941 წელს ს. დოლიძეს მიენიჭა ხელოვნების დამახსოვებელი მოღვაწის სა-პატიო წოდება, 1958 წელს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დედადღე მოსაოპოში — საქართველოს სახალხო არტისტის წოდება, ხოლო 1959 წელს კინოფილმ „ფატჩიას“ შექმნისათვის ჩრდილოეთ ოსეთის ხელოვნების დამახსოვებუ-ლი მოღვაწის წოდება.



3. თბილისი

ქველი სხვადა

ალკინისტური ფილემების ფესტივალი

ოთარ გიგინეიშვილი



მიმავალი მზის სხივებით აფერადებული ღრუბლების ქვეშ ბალტიის ზღვამ წამით იელვა და მიიმალა. შემდეგ დანიის ნაპირების ტყხილი ხაზი გამოჩნდა, მას კოპენჰაგენის კრამიტი ნაფენი წითელი სახურავები მოჰყვა და პორიზონტიდან პორიზონტამდე ისევ სანაპიროს ირბინ ზოლი გადაიჭიმა. ზღვის კუნძულების შავი ლაქები დაჩანდა და მალე პოლანდიის მწვანე ველების თავზე მოვექციეთ. შელდას ფართო ნავაპოტის ნაპირზე ვერცხლისწყლის გაბნეული წვეთებივით ნათობის რუსეთურები აბრწყვალდნენ. ბრიუსელის მინის აეროსადგურის მივადექით. იტალიისაკენ მიმავალი თვითმფრინავის მოლოდინში აქ ხუთთოდე საათს უნდა შევგრედეთ. გვიწოდდა ეს დრო ქალაქის დასათვალერებლად გამოგვეყენებინა, მაგრამ ბელგიის პოლიცია მტრულად გვაყურებს. ქალაქში შემვებაზე უარი გვითხრეს. აეროსადგურის შუშაბანდებიდან კარგად ჩანს გრძელ რივად დაწყობილი ყუთები წარწერით „კონკო“. ყუთების შეიარაღებული ჯარისკაცები იცვენან. გასაგები ხდება, თუ რატომ არ უნდათ შენობიდან ჩვენი გაშვება. რალა გაწყობა, აეროსადგურის შუშაბანდებში ვიცდით და კოკა-კოლათი ვკვლავ წყურვილსა და დროს.

დღის 4 საათზე ფრენას განვაგრძობთ. ჩვენი „ტუ-104“-ის შემდეგ, იტალიისაკენ მიმავალი „ვისკონტი“, მიუხედავად მისი 4 მოტორისა, „შორეულ წარსულად“ გვეჩვენება. გადაჯარჯული ტექნიკურიის სამთავროს, მდინარე მარნას და შვეიცარიის მიერს მივადექით. მწვერვალები, ყინვარები, უამრავი ტბები და შარავნების ხეეულები. პამირისა და კავკასიონის შემდეგ, ალპების მწვერვალები და ყინვარები შთაბეჭდილებას აღარ ახდენენ. თითქოს აკლიათ მრისხანებაც და ზეიადობაც. მალე მიუბი დაწვრილდა, დაჩივდა და ლომბარდის ველებში გათქვითვა. მილანი. ქალაქი თვალის ერთი გადავლებითაც ვერ ვახეით. ორი საათის შემდეგ მატარებელი უკვე ჩრდილოეთისაკენ მივგაქროლებდა.

მთისა და ბარის შესაყართან, იქ, სადაც მდინარე აღიქვ ალპების უკანასკნელ ვიწროებში მოედინება, მდებარეობს ქალაქი ტრენტო. ეს ჩვეულებრივი ჩრდილო-იტალიური ქალაქია: მიჩუქრობიებული ციხე-სიმაგრეებითა და სასახლეებით, ვიწრო ქუჩაბანდებში ერთმანეთზე მიბჯენილი აივნებით, ისპრით ატყორცნილი გუმბათიანი ეკლესიებით, თანამედროვე ოტკლებით, მთის წვერებზე აშენებული რესტორნებით, საპაერო-საბაგირო გზებით, გარეუბნების ქოხმახებით, მტავე ღვინით, კოკა-კოლათი, ორანჯატით და მაკარონებით. ანკარა ლუკრო ცა და დათოვლილი მწვერვალები გარს ეხვევა ქალაქ ტრენტოს. მაგრამ ტრენტოში მთავარია სხვა რამ. ყველგან, საითაც კი გაიხედავთ, მთამსვლელის წერაყინია. წერაყინები სპორტული მალაზიების ვიტრინებში, გულის ქინძისთავად გაკეთებული პაწაწინა წერაყინები, წერაყინი სამკერდე ნიშნზე, წიგნების გარეკანზე, საფოსტო ბარათებზე, მარკებზე, ფირნიშებზე, ნიონის შუქრეკლამად ანთებული წერაყინები სამთო ოტკლებების სადარბაზო შესასვლელებთან. წერაყინი ტრენტოს სიმბოლოა, ხილო ტრენტო მთამსვლელობა ქალაქია.

უკვე რამდენიმე წელია, რაც ტრენტოს მუნიციპალიტეტმა ქალაქი მთამსვლელობა საერთაშორისო შეხვედრების ალკად გადააქცია. ყოველ შემოდგომაზე აქ ტარდება ალკინისტური და სამთო ფილემების საერთაშორისო ფესტივალი, ხოლო 1959 წლიდან ფესტივალის უკანასკნელ ორ დღეს მთამსვლელობა საერთაშორისო შეკრებაც. გასულ წელს საბჭოთა მთამსვლელობა დღემდეცაა შეორედ ესწრებოდა ფესტივალს და პირველად იღებდა მონაწილეობას მთამსვლელობა საერთაშორისო შეკრებაში. საბჭოელ მთამსვლელობა დღემდეცაა შეზღვენილობაში სამინ ვიყავით: სპორტის ოსტატი ალექსანდრე კასპინი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხეილ ანუფრიკოვი და ამ სტრეიტონების ავტორი. მატარებლიდან ჩამოსვლისთანავე ვიგრძენით, რომ ტრენტოში ზეიმი იყო. სადგურის მოედანზე ფესტივალში მონაწილე ქვეყნების სახელმწიფო აღმები ფრიალებდა. დროშებით და ფერად-ფერადი კინორეკლამებით იყო მორთული ტრენტოს რომანტიული ქუჩებიც. ხმლების ქლარუნით მოაბიჯებდნენ ნაპოლიონის დროინდელ ფორმასი გამოწყობილი გვარდიელები, სადაც შორს რეკდნენ ზარები, მწყობრ რივად მოდიოდნენ კათოლიკე ბერები, ღია ფანჯრისადაც ისმოდა „სანტა ლუჩია“ გზის პირას, ბაღის შესასვლელობან შავვერემანი იტალიელი ბიჭუნა ყიდაც ასანთს „მთლილ ორ ლირად“. ასანთი არავის მიჰქონდა, ლორებს კი ტოვებდნენ...

საფესტივლო კომიტეტში გულთბილად მიგივლეს. შემოგვებევენ კომიტეტის თავმჯდომარე მარკო ფრანჩესკინი, კომიტეტის მდივანი ჯუსეპე გრასი და იტალიელი მთამსვლელები ჩეზარე მესტრი, როლანდო მარჩი და კარლო მარჩი. საუბარი უმაღ ჯაბია. იტალიელებს არ აკლიათ სამხრეთული ტემპერამენტი და შეკითხვებს დაუზარებლად გვაყრინ. მათ ანტერესებთ ყველაფერი: თუ რა გააკეთეს საბჭოთა მთამსვლელებმა წინა წლებში, როგორია მომავლის გეგმები, როგორ არის უშმა და რომელი კედლებით ავიდნენ მასზე, ხომ არ ვაპირებთ გამოვადებით ძალები ჰიმალაის მწვერვალებზე. ასეთი დიდი ინტერესით გასაგებია. საბჭოთა მთამსვლელები

ქ. ტრენტოს სადგურის მოლოდინი ფესტივალში მონაწილე ქვეყნების დროშებით მორთული





ტრენტოს მუნიციპალიტეტი ფესტივალის დღეებში

ჯერ კიდევ მეტად იშვიათი სტუმრები არიან უცხოეთში და ჩვენ იქ თითქმის არ გვიცნობენ, იმ დროს, როდესაც ძალიან კარგად იცნობენ საბჭოთა ფესტივალს, კალათბურთს, მძლეოსნობას, ჭადრაკს და სპორტის სხვა სახეობებს.

პირველივე საუბრის შემდეგ დავრწმუნდით, თუ ურთიერთგაცნობასა და მეგობრული კონტაქტების დამყარებაში რა დიდი საქმეს აკეთებს კინო. ის, რაც იცოდნენ ჩვენი მიღწევების შესახებ იტალიელებმა, იცოდნენ საბჭოთა მთავრობის ფილმების მეშვეობით. საბჭოთა მთავრობის კინოფილმები, რომელთა უმრავლესობა გასული საერთაშორისო ეკრანზე, აცნობს უცხოელებს საბჭოთა ალბინიზმს და მის მიღწევებს. ამ მხრივ ქართული ალბინიზმის პროპაგანდისტის ბეჭი რამ გააკეთა სტუდია „ქართული ფილმის“ სურათებმა, რომლებმაც მსოფლიო ეკრანები შემოიარეს. ისეთი ფილმები, როგორც არის „პამირის უმაღლეს მწვერვალებზე“ (1955 წ.), „მოსკოვის პიკის იერიში“ (1956 წ.), „შვიდი მწვერვალის ტრავერსი“ (1957 წ.) დემონსტრირებულ იყო ამერიკის, აზიისა და ევროპის სახელმწიფოთა ეკრანებზე. ამ ფილმებით საბჭოთა კავშირი არა ერთხელ იყო წარმოდგენილი საერთაშორისო კინოფესტივალებზეც. სახელდობრ, ქართული ალბინისტური კინოფილმები ორჯერ იყო დემონსტრირებული ტრენტოს ფესტივალზე: 1957 წელს მე-6 ფესტივალზე — „მოსკოვის პიკის იერიში“ და 1958 წელს მე-7 ფესტივალზე „შვიდი მწვერვალის ტრავერსი“.

მარკო ფრანსესკინის და ჯუზეპე გრასის კარგად ახსოვდათ წინა წლებში დემონსტრირებული ქართული ფილმების ცალკეული დეტალებიც კი. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა „შვიდი მწვერვალის ტრავერსმა“, რომელშიც

ასახულია დარვასის ქედის მწვერვალებზე ასვლა. ევროპელი მთამსვლელები ტრავერსებში საერთოდ სუსტნი არიან და ქართველ მთამსვლელთა მიერ ჩატარებული დარვასის ქედის მწვერვალის ტრავერსი, რომელიც 6000 მეტრზე უფრო მაღლა მიმდინარეობდა, მათთვის უჩვეულო რამ იყო. ფილმის ავტორმა და ოპერატორმა ბორის კრეკსმა თბობის საინტერესო და დინამიურ ფორმას მიაგნო და ამასთანავე შექმნა მაღალმახტარული კადრები. ქართულ ფილმებთან დაკავშირებით, ადგილი ჰქონდა კურიოზსაც: იტალიელთა ერთ-ერთმა ჯგუფმა ქებით მოიხსენია „შვიდი მწვერვალის ტრავერსი“. დამანტერესა, როგორი აზრის იყვნენ მეორე ქართულ ფილმზე — „მოსკოვის პიკის იერიში“. მათ კი გაიოცეს და მითხრეს — ეს ფილმი საქართველოსი კი არა გრუსიასი არისო. აღმოჩნდა, რომ სურათების ექსპორტის დროს პირველ შემთხვევაში სიტყვა საქართველო თარგმნეს იტალიურად, მეორეში კი დაუწერიათ „გრუსია ფილმის“ წარმოებათა. გაუგებრობაც აქედან წარმოიშვა. საჭიროა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, ქართული ფილმების უცხოეთში ექსპორტის დროს კონსულტაცია გაუწიოს სათანადო დაწესებულებებს.

3 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის დიდ დარბაზში, საზეიმო ვითარებაში, გვარდელთა საბატოი ყარაულის თანდასწრებით, იტალიის ეროვნული კინოსი პანგებს ქვეშ ქალაქის მერმა ფესტივალის გახსნილად გამოაცხადა. ხოლო საღამოთი გავეშურეთ იტალიის ეროვნული დროშებით მორთულ ტრენტოს უდიდეს კინოთეატრ „სონიალესაკენ“, რომელსაც აგრეთვე, ხმამოღერებელი, ზისილ-პაბილოებით მორთული გვარდელეები იცადნენ. ღოჭაში შევეყვანეს. აქ ჩვენთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ორი თანამშრომელი მოთავსდა. ერთი მათგანი იტალიაში ამერიკული კინოფილმების საქმეებს განაგებდა. კინოთეატრი საქამოდ მოზრდილი, 5 იარუსიან დარბაზს წარმოადგენდა. ოდესღაც საპირო თეატრი ყოფილა, შემდეგ ოპერა გაკოტრებულა და მის მაგივრად კინოთეატრი გაუხსნიათ. მართალია, კინო შესანიშნავი ზელოვნება, მაგრამ მაინც რაღაც გულისტკივილი ვიგრძენი, როცა აგეამად აქ აღარ ქდერდა „კარმენის“, „აიდას“ და „ჯამბაზების“ შესანიშნავი მქოლდები, აღარ ისმოდა იტალიელ მომღერალთა ხმები (უკვე გამახსენდა, თუ როგორ ყიდულადაც ქართველი კოლმურები თბილისის უნივერსიტეტი იტალიელ მომღერალთა კონკონსერვატორის). სინანული ხმამაღლა გამოვთქვი. ამერიკელმა კინოფესტივალისტმა ბაკერებმა შემომხედა.

— თქვენ პროგრესის წინააღმდეგი ყოფილხართ.

— ?

— ოპერა, დრამატული თეატრი, ეს ხომ მხოლოდ წარსული საუკუნეების ხმებია, იმ დროის ვადრონაში, როდესაც არც კინო იყო და არც ტელეხედევა, არ იყო არც ავტომატანები, და ხალხი ტრანტასებით დადიოდა. სხვა ვასარბობი არ ჰქონდათ და თეატრების გრძელ წარმოდგენებზე ატარებდნენ დროს. ახლა კი ტექნიკაა ყველაფერი, კინო, ტელეხედევა. აღარც სტულტანიათ რომანტიკა საჭირო, ახა ვისა აქვს დრო იკითხოს „დავით კოპერფილი“. თუ მაინცდამაინც ეგნდათ, წაიკითხეთ მისი კინოსწავრავი თოკულ შინაარსი. დანარჩენი დრო კი გაატარეთ კინოში, კაფეში, დანაწიხში, სვით კოპაკ-აკო და, თუ უფლად გაქვთ, კონიაც. თეატრის ყურება ხელს არ მოეცემთ. რაც მეტი თეატრი გადაკეთდება კინოდ,


მით უფრო წინ წავსვლავართ. უნდა გიხაროდეთ, თქვენ კი უკმაყოფილო ხართ.

კამათი უნაყოფო იყო. გამახსენდა ამერიკაში ნანახი კინოსურათები და ტელეგადაცემები უსასრულოდ გაბმული სროლით და ცემა-ტყეპით. ასეთი სურათები არც იტალიური ეკრანისათვის არის უცხო, და ვინ იცის, რამდენ ყოფილ საოპერო თუ დრამატულ თეატრში უჩვენებენ მათ ამგვამად.

ორკესტრმა კვლავ შეასრულა იტალიის ეროვნული ჰიმნი, და დაიწყო პირველი საკონკურსო ფილმის დემონსტრაცია. ფესტივალზე მსოფლიოს 13 ქვეყნიდან 29 ფილმი იყო წარმოდგენილი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ტრენტოს ფესტივალის კარი ღიაა ყველასთვის: როგორც პროფესიონალ კინემატოგრაფისტათვის, ისე კინომოყვარულებისათვის. აქ ერთგვარი „შეჯიბრებაც“ კი იყო პროფესიონალთა და მოყვარულთა ფილმებს შორის, და უნდა ითქვას, რომ მოყვარულები ამ „შეჯიბრებიდან“ შერცხვენილები არ გამოსულან, თუმცა ბრძოლა თანაბარ პირობებში არ მიმდინარეობდა. პროფესიონალთა ფილმები გადაღებული იყო 35 მმ. სიფართის ფირზე, მოყვარულთა კი 16 მილიმეტრისაზე. ერთსა და იმავე ეტრანზე დემონსტრირებისას ვიწრო ფირიანი ფილმები, ფართო ფირთან შედარებით, კარგავენ გამოსახულების სიმკვეთრეს, რაც შთაბეჭდილებას ერთგვარად ანელებს. სამაგიეროდ, მოყვარულთა ფილმები გამოირჩეოდნენ ბუნებისა და მივლენების უშუალო აღქმით, პირველხარისხოვანი მასალით, აბეჭდილი მოვლენების დამაჯერებლობით და დიდი შინაგანი ემოციით. ცალკეულ შემთხვევებში, რომ მონტაჟის სისუსტე არა, რაც ზოგიერთ მოყვარულთა სურათს დინამიურობასა და რიტმს უკარგავდა, მოყვარულები დიდად გაუსწრებდნენ პროფესიონალებს.

ექვებით რა საერთოდ ნახულ ფილმებს, უნდა აღვნიშოთ კიდევ ერთი გარემოება. მოყვარულთა ფილმებში კარგად ჩანდა ავტორთა პირადი ხასიათი, მათი დამოკიდებულება ბუნებისა და მოვლენებისადმი. ყოველი კადრი ავტორის უშუალო განცდას წარმოადგენდა, ავტორსა და ფილმს შორის არაფერი არ იდგა. ეს იმ დროს, როდესაც პროფესიონალის შემოქმედება მრავალი კინემატოგრაფიული კანონით არის გაპირობებული, რაც შემოქმედის ინდივიდუალური თავისებურებების ერთგვარ რაფინირებასა და ნიველირებას ახდენს, და ისინი საერთო მნიშვნელამდე დაჰყავს.

იმ მრავალ განსხვავებათა შორის, რომელიც არსებობს ინსტრუმენტალისტისა და მომღერლის შემოქმედებაში, ზოგა ხშირად ავიწყდება ერთი ის მთავარი განსხვავება, რომელიც განასაზღვრავს მომღერლის ხელოვნების განსაკუთრებულ სიძნელეს და მის თავისებურებას. როცა ინსტრუმენტალისტი უკრავს რომელიმე ინსტრუმენტზე (ფორტეპიანო, ჩელო და სხვ.), მას მეტი საშუალება აქვს უსმინოს როგორც ბგერათწარმოებას, ისე შესრულებას.

სულ სხვა მდგომარეობაა სიმღერის დროს. ვოკალისტისათვის ბევრად უფრო ძნელია აწარმოოს ეს „დაკვირვება“ იმიტომ, რომ ბგერას, რომლის საშუალებითაც ასრულებს ის ნაწარმოებს, წარმოშობს მისი ორგანიზმი, ის ცოცხალი და ურთულესი ორგანიზმი, რომელიც შედგება უამრავი პატარა ძარღვებისა და ზრტილებისაგან. სასიძნელესო ორგანიზება და სმენას შორის არსებული ურთულესი ურთიერთ დაბრუნებულება არ აძლევს მომღერალს საშუალებას უსმინოს თავის ბგერათწარმოებას და შესრულებას იმ ობიექტურობით, როგორც ამას ახერხებს ინსტრუმენტალისტი. ვინაიდან სასიძნელესო ბგერებს წარმოშობს თვით მომღერლის ორგანიზმი, მისი ყურადღება ხშირად მთლიანად მიჰყრბილია ამ პროცესისადმი, ბგერათწარმოების პროცესისადმი, რაც დიდად ასუსტებს სმენის ანალიზატორის მოქმედებას. ამის მიზეზია ხშირი „უყურადღებობა“ შესრულებისადმი, არასუფთა ინტონაცია, დინამიური ელფერობისა და სიტყვერი ტექსტის უგულვებელყოფა და სხვა, რაც ესოდენ დამახასიათებელი და გავრცელებულია მომღერალთა შორის. დასრულებულ ოსტატ-ვოკალისტებშიც კი ცოტა მოიძებნება ისეთი, რომელიც არ ფიქრობს სიმღერის დროს მარტო ბგერათწარმოებაზე და ფიქრობს უმთავრესად ნაწარმოების შინაარსზე. ამრიგად, საჭიროა ტექნიკურად ისე მომზადდეს მომღერალი, რომ მას არ სჭირდებოდეს შესრულების დროს იფიქროს მხოლოდ ბგერათწარმოებაზე. „შე საბოლოოდ დამარწმუნება ღისტმა, როგორც მოვლენამ. — წერს ა. ნ. სეროვი. — რომ მუსიკოს-შემსრულებლის იდეალს წარმოადგენს მაღალი ტექნიკისა და ასევე მაღალი ინტელექტის პარმონიული შესაბამა“.

თუ საოპერო სპექტაკლში მომღერალი ამა თუ იმ პერსონაჟის გარკვეულ სახეს ქმნის მუსიკის, სცენური მოქმედების, სათანადო კოსტუმის, გრიმისა და სხვათა საშუალებით, ყოველგვ ამას ის მოკლებულია საკონცერტო შესრულების დროს. არ უნდა დავივიწყოთ ის მდგომარეობაც, რომ საოპერო სპექტაკლის პერსონაჟის მუსიკალურ-სცენურ სახეს მომღერალი ქმნის რეჟისორისა და დირიჟორის დახმარებით, რომლებიც აწვდიან მომღერალს საჭირო აზრებს, უქმნიან სათანადო სცენურ მდგომარეობას, წარმართავენ მომღერლის შემოქმედებას საჭირო მიმართულებით.

საკონცერტო შესრულების დროს მომღერალი მარტოა სცენაზე. (ჩვენ აქ არ ვხევებით კონცერტმისტიკურ-აკომპანიატორების დიდსა და მნიშვნელოვან როლს მომღერლის საკონცერტო შესრულებაში). ის ვალდებულია გასრულოს რამდენიმე სხვადასხვა სტილისა და შინაარსის მუსიკალური ნაწარმოები ისე, რომ თვითიველი ნაწარმოების შესრულების დროს შექმნას ის განუყოფელი განწყობილება, რომელიც ახასიათებს მხოლოდ ამ ნაწარმოებს. ასეთ შესრულებას ჩვენ, სამწუხაროდ, იშვიათად ვხვდებით. უმეტეს შემთხვევაში მომღერალი ღვას სცენაზე და ერთი და იმავე განწყობილებით, საშუალებებით, ფერებით და ემოციით ვასრულებს არიას ზუჩინის ოპერიდან და რახმანინოვის რომანსს, არიას ვერდის ოპერიდან და ჩაიკოვსკის რომანსს, შუბერტის რომანსს და ნეაბოლიტანურ სიმღერას და ა. შ. ესე იგი სულ სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის ნაწარმოებებია სრულება ერთი, წინასწარ გამოუმუშავებული სტანდარტული განწყობილებით. მუსიკალური და ლიტერატურული ტექსტის ასეთი უაზრო და ფორმალური „შესრულება“ მიზეზი ის არის, რომ მომღერალი არ გრძნობს ნაწარმოების შინაარსს, არ აზრუნებს შესრულების დროს. მისი ყურადღება მთლიანადაა შეპყრობილი ბგერათწარმოებით და ამის შედეგად ყალბი ემოციითა და პათოსით, სრულიად ერთნაირად „ასრულებს“ ყოველი გვარისა და შინაარსის ნაწარმოებს. ასეთი „შესრულებების“ შედეგად წარმოიშვება ისეთი შთაბეჭდილება, რომ მომღერალი მღერის ისეთ ნაწარმოებებს, რომელთაც სრულიად ერთნაირი შინაარსი აქვთ. დროა ჩვენმა ბევრმა ნიჭიერმა მომღერალმა შეიგნოს ის ტექნიკა, რომ ადამიანის სასიძნელესო ხმა — ეს მხოლოდ მისი სულიერი მდგომარეობის მატერიალური გამოვლენების ფიზიკური საშუალებაა.






ვ. ტორტაძე

მეფოლადები

ირ. თქობრიძე

გამომშვიდობება





ჟ. სარაული

მუშა



ა. ბაგბეუქ-მელიქიძე

გოგონას პორტრეტი

ე. თულაშვილი

ზღაპარი






ბ. ვასიკვი

სამოვარზე

ი. უანდაშვილი

ძროხა და ხბო



ზ. კრაწაშვილი

მშენებელი





სანამე

სოციალისტური შრომის გმირი ჩიჯავაძე
აბლგაზრდა მეჩაიეებთან

კ. ათაბაძე

ჩაის საკრეფად



მ ა რ ძ ი ა

სციღონ გამსახურდია



ორჯომ-აწყურის, ახალციხისა და ასპინძის გავლით, გზა ვარძიასთან მიდის. ამ გზას მიჰყვება ზაფხულობით უთვალავი ტურისტები — მოგზაური, ზღვისპირეთისა თუ ბორჯომის ხეობის დამსვენებელი და მატერიალური კულტურის ძეგლების მოყვარული, ვარძიის სანასავად საგანგებოდ გაგზავრებული ქალი თუ კაცი. აქ შესვლებით საქართველოს ყოველი კუთხიდან მომავალს, მომეხ სიმხეთიდან ჩამოსული, აზერბაიჯანის, უკრაინის, მოსკოვის, ლენინგრადისა და შორეული აღმოსავლეთის მკვიდრთ. ვგზომ დიდი ინტერესი ვარძიის მიმართ არც თუ შემთხვევითია; თავისი ორიგინალური სახით და გრანდიოზულობით ვარძია იშვიათ ნაგებობას წარმოადგენს წარსულის კულტურის ძეგლთა შორის¹.

ვარძიის გამოქვაბულთა კომპლექსის შენება XII საუკუნის 60-იან წლებში უნდა დაწყებულიყო. ამ დროს მეფე გიორგი III (გამეფდა 1156 წ.) საქართველოს სამხრეთის ტერიტორიის საკითხს მიაპყრო ყურადღება. თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობით, მანვე წამოიწყო ვარძიის შენება, მაგრამ „ვერსრულ ექმნა და დაეტევა, რომელი დიდნან ამან (თამარმა) აღასრულა“. მასსადამე, მემეტანის ცნობით, გიორგი მეფეს ვერ მოუხწრია ვარძიის შენების ბოლომდე მიყვანა და მამის სიკვდილის შემდეგ თამარს დაუთმავრებია. თუ რა მიზნით წამოიწყო გიორგი მეფემ ვარძიის შენება, ჯერ კიდევ დასადგენია. შესაძლოა მას აქ, გარკვეული პოლიტიკური მიზნით, მიუვალი სიმაგრის დაარსება სურდა. ყოველ შემთხვევაში, თამარის დროს მისი შენება დამთავრდა, როგორც მონასტრისა. თამარსავე გამოქვაბულთა კომპლექსში ჩაუშენებია ტაძარი, რომლის კედლები ქართლის ერისთავს, რატი სურამელის მოუსატყენებია. მოხატულობაში ყურადღების იქცევის თვით თამარის და გიორგი III პორტრეტები, რომლებიც ქტიტორებად არიან გამოსახულნი. თამარს ხელთ ტაძრის მაკეტი უპყრია.

ტაძრის ჩაშენება გამოქვაბულთა კომპლექსში და მისი მოხატვა უნდა მომხდარიყო 1184-86 წლებში, რადგან თამარი გაუთხოვარია გამოსახული. იმეამინდელ საქართველოში, ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით, გათხოვილი ქალი ნიკაპს ქვეშ თავს შეიკრეულ დოღბანდს (საყურეს) ამოიგრავდა. აღნიშნულ მსატყრობაში კი თამარს ანგვარი რამ არა აქვს... საქართველოში თამარის ოთხი ფრესკის სურათი შემოგვრჩია. (ვარძიაში, ბეთანიაში, ყინწყვისისა და ბერთუბანში). დოღბანდს გარეშე თამარი მხოლოდ ვარძიის ტაძრის კედელზეა მოხატული. შეიძლება, რომ თვით მსატყროც კლდა ამ გარემოებისათვის და სინარჩუნ ასახიათებს. ვინაიდან გიორგი მეფე 1184 წ. გარდაიცვალა, ხოლო თამარ მეფე პირველად 1186 წ. გათხოვდა, ტაძრის გამოკვეთისა და მოხატვის წარმოება ამ წლებს შორის უნდა ვიგულისხმობთ.

მემეტანის თქმით, თამარს, ვარძიის შენების დამთავრებასთან ერთად, მრავალი შესაწირავი გაუწენია მისთვის და შეუმეცია „ყოვლითურთ“. ასე, რომ ვარძია იმდენად მდიდარი



ვარძიის გამოქვაბულთა ხელი აღმოსავლეთის მხრიდან

და შემეკული მონასტერი ყოფილა, რომ მემეტანეს ყოველივე ამის ჩამოთვლა და აღწერა გასჭირვებია და, ნაცვლად ამისა, აცხადებს: „ყოვლისა მოთხრობა ძნელ არს, თუ ვისმე ჰნებავს ამისგანცა, ისილენ ვარძია და საქმენი მისნი ქნულნი და ნაშენებნი ქუაბქმნილნი“.

კლდე, რომელშიაც ვარძიის გამოქვაბულებია გამოკვეთილი, მტკვრის დონიდან 105 მ. სიმაღლითაა აზიდული. თავის დროზე ეს კლდე, როგორც ჩანს, გარედან მიუვალი იყო, დროთა განმავლობაში, წინა ფსადის ჩამონგრევის შემდეგ, მის ძირში ფერდობი შექმნილა და სადღესოდ პირვანდელი სახე დაკარგულია აქუს.

კლდის შუა ზოლი, რომელსაც გამოქვაბულთა კომპლექსი 500 მეტრის სიგრძეზე გასდევს და მრავალ სართულადაა დალაგებული, ტუფის ფენას წარმოადგენს და კლდის ძირიდან 50 მ. მაღლა მდებარეობს. ეს ფენა მოთეთრო ნაცრისფრა გამოიყურება. კლდის შუა ზოლის მომიჯნავე ფენები კი ტუფო-ბრეჭქვისისაგან შედგება და რუხი ფერთი მოჩანს. ამ ფენებისაგან განსხვავებით, ტუფი ადვილად საკვითია და გლეგი ზედაპირის მიღების საშუალებას იძლევა. ზედა, მესამე ფენა კი პირიქით, მსხვილნატყხებიანი ტუფო-ბრეჭქვისისაგან შედგება, ადვილად იფიტება და გამოსაკვეთად მოუხერხებელია.

ამდენად, ვარძიის მშენებელთ, გეოლოგიური თვალსაზრისით, გეგმაზომიერად შეურჩევით სადამშენებლოდ კლდის შუა, ტუფის ფენა.

¹ მაღლობას მოგახსენებ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვარძიის განყოფილების გამგეს კონსტანტინე გელიოპარს ზოგია მასალის მოწოდებისათვის.



საბაგლო

დღეს ვარძიის გამოქვაბულთა ნანგრევები შემდეგი სახით წარმოგიადგება:

ცენტრალურ ნაწილზე არქიტექტურულად გამართული, სუფთად ნათლი ბაზალტისაგან ნაშენი სტოას ორთაღიანი კედელი დგას. მის უკან კლდეში გამოკვეთილი ტაძარია. სტოას დასავლეთის მხარეს ოთხკუთხედიანი შენობაა, ნანგრევების სახით შემორჩენილი სამრეკლო. იგი, ისევე, როგორც სტოას ორთაღიანი კედელი, არქიტექტურული ფორმებითა და ორნამენტებით მე-13 საუკუნის მიწურულს განეკუთვნება. ნაშენია თლილი, რუხის ფერის ქვით. მეორე სართული, გამარჯვანი დიდი საბურავითურთ, ამჟამად ჩამონგრეულია. ორნამენტი ხალისის მოკლებულია, რაც ამ დროისათვისაა დამახასიათებელი.

სამრეკლოს დასავლეთით წარმოდგენილ გამოქვაბულთა ზედა სართულში ე. წ. „ნანაურის“ კელისაა გამოკვეთილი, რომლის კედლებზე მოხატულობათა ფრაგმენტებია შემორჩენილი (უშეტესად დაზიანებული სახით), ხოლო ქვედა პირველ სართულში საჯინიბის კომპლექსია. უკიდურეს დასავლეთ ნაწილიდან გამოქვაბულთა კომპლექსს წყალსადენის გვირაბის ნანგრევები ადგება. პირველი წყების გვირაბში ალაგ-ალაგ წყლის მილის ნამეტრეკვებია შემორჩენილი, ხოლო მეორე (ქვედა) გვირაბის იატაკში კი სარწყავი არხია გაკეთებული. წინა ნაწილის ჩამონგრევებზე ორივე გვირაბი გარედან შეუმჩნეველი იყო და კლდის შუაშოლს 3,5 კილომეტრის მანძილზე მიეყვებოდა სოფელ ზედა ვარძიამდე, სადაც ერთ-ერთი წყაროდან იღებდა წყალს. გვირაბის შედა-

რებით კარგად შემონახული ნაწილები საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ მისი თავდაპირველი სახე.

აღმოსავლეთი ნაწილი 150 მ. სიგრძეზეა გადაჭიმული და მრავალი გამოქვაბულისაგან შედგება (ამ ნაწილში მთლიანად ან ნაწილობრივად შემორჩენილ გამოქვაბულთა რიცხვი 241 შეადგენს). უკიდურეს აღმოსავლეთით გამოკვეთილი გამოქვაბულები და დაბლა ჩასასვლელი გვირაბი დღემდე შედარებით კარგადაა მოღწეული. აქვეა „დარბაზი“ და ე. წ. „თამარის ოთახი“.

გამოქვაბულთა უმეტესი ნაწილი საცხოვრებელს წარმოადგენდა და შეჭრილია სამხრეთიდან ჩრდილოეთით. ასე, რომ მას მზე სამხრეთიდან ადგება. თითოეული ასეთი საცხოვრებელი სამი ერთურთში გამავალი სამყფელოსაგან შედგებოდა. წინ ღია ეზო, დერეფანი და გასასვლელია, იმის უკან დიდი გამოქვაბული-დარბაზი, და ბილის — სურათსანოვანის შესანახი პატარა სათავსო. ამ უკანასკნელის იატაკში თითქმის ყველგანაა შემორჩენილი ორმოები, სადაც, როგორც ჩანს, დიდი ქილები იყო ჩაწყობილი.

ზოგან ამგვარ სათავსოში მარნებია მოწყობილი. მარნის დანიშნულებით მთელი გამოქვაბულიც გვევლება. დღეისათვის შემორჩენილია უფრო მოგვიანო ხანის ქვევრები. საერთოდ, ვარძიის გამოქვაბულთა კომპლექსში და მესხეთის ტერიტორიაზე სზირად ვხვდებით ძველ საწინააღმდეგობრივ, მარნებს, რაც იმ დროისათვის ამ მხარეში მევენახეობის ინტენსიურ განვითარებაზე მიგვიბრუნებს.

გამოქვაბულთა ზემოაღწერილი განლაგება, სამხრეთის მხრიდან ღია ეზო-დერეფნით, უზრუნველყოფდა ერთის მხრივ დარბაზის განათებას და მეორეს მხრივ ზაფხულში სივრილისა და ზამთარში სითბოს შენარჩუნებას. მით უმეტეს, რომ ამას თვით ტუფის ფენაც ხელს უწყობდა.

გამოქვაბულ — დარბაზთა ინტერიერი, უმეტეს შემთხვევაში, გაფორმების მხრივ უბრალოა. კედლები და ჭერი გლევი ზედაპირისაა. შესასვლელთან კარის ქუდა-ზურღლის ჩასასმელი ბუდეებია შემორჩენილი. ასევეა სათავსოს გასასვლელშიც. მეტი წილი გამოქვაბულების გვერდითსა ან ჩრდილო კედელში გამოკვეთილია დიდი და მცირე ზომის ნიშები. საფიქრებელია, რომ დიდი ნიშები საწოლად და საწილის მოწყობილობის შესანახად იყო გამოყენებული, ხოლო მცირე ნიშები — წიგნთაივის, ხატების დასაყენებლად და სხვ. გამოქვაბულთა გარკვეული ნაწილი ფაქიადაა დამუშავებული, ნაწილი კი უშეშად. ზოგი მათგანი დიდი მოცულობით, მკვეთრი ფორმებითა და დამატებითი ნიშებით აშკარად განირჩევა სხვა უბრალო საცხოვრებლებისაგან, რაც მონასტრის შინა კლასობრივ დიფერენციაციას უნდა მეტყველებდეს.

ზოგან გამოქვაბული — დარბაზები ეზო-დერეფნით და სათავსოთი მთლიანი სახით შემოგვრჩა. უმეტეს ნაწილში კი მხოლოდ გამოქვაბულები და სათავსოებია შემორჩენილი, ხოლო ეზო-დერეფნები წინა ფსადის ჩამოქვევას ჩააყლია თან. მიუხედავად ამ დიდი ნგრევებისა, დღეს მაინც ხერხდება გამოქვაბულთა საცხოვრებელი კომპლექსების პირიდანღეული სახით წარმოდგენა. ასეთი საცხოვრებელი გამოქვაბულები თავისი ატრიბუტებით ერთურთის გვერდითაა ჩამწყობილებული თითოეულ სართულზე, სულ რვა სართულად... სართლის გამოქვაბულები ერთმანეთს ეზო-დერეფნების გასას-

ველეთში უკავშირდებოდნენ, ხოლო სხვადასხვა სართულე-
ბი — საიდუმლო გვირაბებით.

რამდენიმე ადგილას საცხოვრებელ გამოქვაბულებთან
მცირე მოცულობის სამლოცველოებს ვხვდებით, ან დამატე-
ბით გამოკვეთილ სხვადასხვა დანიშნულების გამოქვაბულებს.
ასეთი დამატებითი ნაკეთობანი კომპლექსის საერთო დაგე-
მარებას არ არღვევს, რაც თავისთავად გამოქვაბულთა კვ-
თისათვის წინასწარ შემუშავებულ გეგმაზე მიგვიითხებ.

წინა ფსაადის ჩამონგრევამდე გამოქვაბულთა კომპლექს-
ში შესვლა სადღაც მიწის პირიდან დაწყებული გვირაბით
უნდა წარმოებულყო. ასეთი სახით რამდენიმე ადგილას
უნდა დღესაც გვირაბები. მაგრამ მათი საწყისი ნგრევის
გამო დაკარგულია. მხოლოდ აღმოსავლეთის კიდეზეა დარ-
ჩენილი დიდი გვირაბი, რომელიც დაუმთავრებელია, და
მისი დანიშნულებაც გაუგებარი რჩება.

აღმოსავლეთ კომპლექსში გადასვლა აგრეთვე ტაძრის
უკანა საიასტომი გაკრებილი გვირაბით ხორციელდებოდა. გვი-
რაბი თანდათან მალა მიეპართება 54 მეტრის სიგრძით,
სიგანე 0,8 მეტრია, სიმაღლე — 1,8. დასაწყისში კარის ქვის
სულურსი გვევლება. კარია გვირაბის შუა ნაწილშიც. ამ უკა-
ნასკენელს ზემოთ პატარა საკანია გამოკვეთილი, რომლის
იტაკიდან გვირაბში ხვრელია ჩაჭრილი. თუ მტერი ტაძ-
რამდე და ტაძრის უკანა გვირაბის კარებით მაინც მოახერ-
ხებდა გვირაბში შეჭრას, მის შუა ნაწილზე გაკეთებული კა-
რებით შეკედნებოდა, ხოლო ამ დროს საკანში ჩამედარი
მეომარი ხერხიდან მოაკდინებდა და აღარც მის შემდგომ
მომავალთ მისცემდა კარების გატეხის ცდის საშუალებას. შე-
საძლოა მთავარი შესასვლელი გვირაბიც ამ სისტემით იყო
გამაგრებული.

ასე რომ, დასავლეთის მხრიდან საიდუმლო გვირაბში
გამოყვანილი წყლით დაკმაყოფილებული და სურსათით მო-
მარაგებული ვარძია მტრის შემოტევასა და ალყის გაღლე-
ბას რაღდენიმე თვის მანძილზე შეძლებდა. „ქართლის
ცხოვრებას“ ერთგან მოგვიხატობს კიდევ, რომ მიონღოთა
ჯარი მე-13 საუკუნეში ერთი წლის მანძილზე ადგა თურმე
ვარძიის ციხე-მონასტერს შიგ არსებული ოქროულისა და
სხვა სიმდიდრეთა მოსაპოვებლად, მაგრამ ვერაფერი მოუ-
ხერხეს და უკან გაბრუნდნენ.

ყოველ შემთხვევისათვის ვარძიის გამოქვაბულთა კომპ-
ლექსს წყლის სხვა მარაგიც გააჩნდა. ესაა ტაძრის გვერდით
გამოქვაბულში გამოკვეთილი აუზში დამდგარი სუფთა წყალი,
რომელიც კლდთან მოთვას და აუზში გროვდება. იგი
იტევს 9,5 კუბომეტრ წყალს. აუზის წყალი, საერთოდ, ტა-
ძარის მხარდებოდა, ალბათ.

ტაძრის მოხატულობა გიორგი III-ისა და თამარის გარ-
და, საერთო პირთაგან, შეიცავს რატი სურამელის ფრესკას.
მის თავთან გაკეთებული წარწერა გვამცნობს, რომ მას მოუ-
ხატვნიებია ტაძრის კედლები. მხატვრობა, სხენებულ ისტო-
რიულ პირთა გარდა, სტოამი ძველი აღთქმის, ხოლო თვით
ტაძარში ახალი აღთქმის სიუჟეტების ციკლს წარმოვიდგენს,
ცალკეულ წმიდანთა პორტრეტების თანდართვით. საკურ-
თხველის კონქში საყდარზე მდებარე ღვთისმშობელია გამო-
ხატული, რომელსაც კალთაში ყრმა იესო უწის, ხოლო ორთავ
მხარეს მთავარანგელოზები უდგანან. ამ კომპოზიციის ქვეშ,
აბსიდში, ცენტრისაკენ მიმართული 12 მამამთავარია გამო-
სახული. ამ უკანასკნელთა და ღვთისმშობლის მსხვილად გა-
მოხატული ფიგურები ადამიანის ყურადღებას კლესიის კომ-



გიორგი III და თამარის პორტრეტები ტაძრის ჩრდილო კედელზე

პოზიციის ამ მთავარ აქცენტზე ამახვილებს. მხატვრობა,
საერთოდ, მაღალი ოსტატობითაა შესრულებული. პერსონა-
ჟებში განცდისა და მოძრაობის ბუნებრივობის გადმოცემის
ცდა შეიმჩნევა, რაც ქართულ მხატვრობაში, საერთოდ, შე-
გნობს განვითარებას პოულობს და კერძოდ 1213 წლის ბერე-
ღუმის მოხატულობაში გახედული და ოსტატობის მაღალი
ხარისხით წარმოვიდგებთ. აქ ჩვენ გვაქვს ქართული მხატვ-
რობის რენესანსის ჩანასახი ფორმები. თვით ტაძარი ღვთის-
მშობლის მიძინების სახლს ატარებს. მე-12 ს. დროინდელ
მემკვიდრეთა ცნობით, თამარ მეფე სამეცხის მოსულა ამ ტა-
ძარში. პირველი მოსულა დეკავშირებულია ბასიანის ომთან.

მეორე აზიაში ქართველობის პოლიტიკური გავლენის მო-
სახსობად, რუმის სულტანმა¹, რუქანდინმა, საქართველოს
დარბევა მოიწავინა. ამ მიზნით მან ყველა მამამაიანური
ქვეყნის გაერთიანებული (400.000 კაცისაგან შემდგარი)
ლამქარი შეკრიბა და თამარ მეფეს რისხვით სახეს „ბრიყვე-
ლი“ წერილი გამოუგზავნა. თავის მხრივ თამარსა და დარბა-
ზის ერთ პასუხი აღარ დაუყოვნებია. ამავე დროს საქართვე-
ლოს ყოველი კუთხიდან და „ნიკოპოთს, ვიდრე დარბაზ-
დამის“ სასწრაფოდ მიუწვევიათ ჯარი და ჯავახეთს შეეკ-
რებიათ. თვით თამარ მეფე მოსულა ვარძიის და ვარძიის
ღვთისმშობლისათვის შეუვედრებია თავისი ჯარის ბედი,
„ცრემლით შეჰვედრა სოსლან დავით სპაა მისი და დროშა მი-
სი“. ჯარი უპატივით გაუგზავნია სალამქროდ, ხოლო თვი-
თონ ოძრტეს (დღევანდ. აბასთუმანში) გადასულა და იქიდან

¹ რუმის სასულტნო დღევანდელი თურქეთის ფარგლებში მდებ-
არეობდა და ძლიერ თურქულ სამეფოდ თვითვლიდა.

გამოქვაბული — დარბაზი



უდევნებია ბრძოლის მსვლელობისათვის თვალყური. მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა ჯარი მტერთან შედარებით მცირერიცხოვანი იყო, სწორი ტაქტიკის, იმ დროის სამხედრო ხელოვნებისათვის ჯერ კიდევ უცნობი ფლანგებით შეჭრის წესების გამოყენებით, რუქნადინის ლაშქარი გაუნადგურებიათ და გამარჯვებულნი კვლავ ვარძიაში შემობრუნებულან, სადაც შეტეგებებით თამარი და მადლობა შეუწირავს ღვთისმშობლის ტაძრისათვის.

მესამედ თამარი სპარსეთში ლაშქრის გამგზავრების წინ მისულა ვარძიას 1210 წელს. ვერსია იმის შესახებ, თითქოს თამარი ვარძიას გაიწერდა და ე. წ. „თამარის თიხის“ სახელდებაც ამიტომ შემორჩა აქ ერთ-ერთ გამოქვაბულს, სიმაართლეს არ შეეფერება. ვარძია, ჩანს, მამათა მონასტერი იყო, სადაც, სამონასტრო წესდებით, ქალს, თუნდაც იგი მეფე ყოფილიყო, ღამის თევის, ან დიდხანს დაგანების ნება არ ჰქონდა.

ასევე ითქმის თამართან სახელი „ვარძიას“ დაკავშირების შესახებ. ხალხური ვერსიით, ვარძიის შენებისას თამარი აქ თამაშის დროს თითქოს დაკარგულა და ძებნისას „აქ ვარძია“ უპასუხნია. მემატანიე მოგვითხრობს: „ზემო ვარძიის ქვემო ვარძიით მიცვალებიანია“¹ განმეხებული იქნა ვარძიაო. ზემო ვარძია 3 კილომეტრის დამორებით არსებული ნასოფ-

ღარია, სადაც მე-14 საუკუნის არქიტექტურულად გამართული კლდეკარის ერისთავის ლიპარიტ ბაღვაშის მიერ შენგულბული ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია დგას. აშკარაა, მემატანიის განცხადება გულისხმობს ამ ტაძრის მნიშვნელობის გადმოტანას „ქვემო ვარძიაში“ სახელდების „მიცვალებითა“, ე. ი. შენაცვლებით. სოფ. ზემო ვარძიის სახელი აქვს წამოღებული თვით ქვემო ვარძიას. რაც შეეხება საერთოდ სახელწოდებას ვარძია, ყველაზე მართებულად ვერძთან მისი დაკავშირება მიგვაჩნია, რის კულტიც, როგორც ნანგრევებით და ზოგიერთი ნაკუთობით ჩანს, (მაგ. ნასოფლარ გოგრაშენში, სოფ. ჭაჭკარის „გლეხის დარბაზის“ მოკაშულობაში და სხვ.) ფრიად გავრცელებული ყოფილა უძველეს მესხეთში.

ვარძიამ, ვითარცა ციხე-სიმაგრემ და მონასტერმა, მე-16 საუკუნის შუა ხანებამდე იარსება. 1551 წ. სპარსეთის შაჰს, თამაზ ერთ-ერთი შემოსევის დროს, ალატოთ შესვლა მოუხერხებია ვარძიის გამოქვაბულთა კომპლექსში, სადაც ცოლ-შვილით შეფარებული იყო მესხეთის ახალურობა. შეფარებულნი გაუწყვეტია, ხოლო ვარძიის სიმიდრე წაუღია. ვარძიამ შეა-თამაზის შესვლას ხელი შეუწყო გამოქვაბულთა კომპლექსის ნგრევამ, რაც მე-13 ს. დიდი მიწისძვრების დროს უნდა დაწყებულიყო და რამაც გამოიწვია ბზარებისა და ნაპარღების გაჩენა. ამ შემოსევის დროს, როგორც ჩანს, წინა ფასადით ჯერ კიდევ მიუვალს იყო ვარძია, რადგან ხალხური ვადმოცემით, შაჰის მილაშქრეებს აღმოსავლეთიდან მოუხერხებიათ შესვლა. ამ ადგილს დღესაც „საღალატო ხეცა“ უწოდებენ.

შაჰ-თამაზის ისტორიკოსის რუმულუს ცნობით, შაჰს უთვალავი სიმიდრე წაუღია ვარძიიდან. მათ შორის დასახელებულია დიდი ოქროს კარები, რომელიც, ალბათ, ტაძრის შესასვლელში ეკიდა, დიდი ზარი, რომელიც „70 ბათმანს იწონიდა და შეიდაჯერ იყო ჩამოსხმული“, ოქროქიდიანი ხატები, რომელთა შორის ერთი ძვირფასი ლალის თვლებით იყო შემკული, ოქროული და სხვ.


აშკარაა, რომ ვარძია კულტურის კერა იყო თამარის დროიდანვე. ერთი ცნობით, აქ უმოღვაწეა იოანე შავთელსაც. შაჰ-თამაზის შემოსევისას, ალბათ, ცეცხლმა შთანთქა ყველაფერი, რაც ბევრ საკითხს მოჰფენდა შუქს.

მიუხედავად იმ დიდი ნგრევისა, რაც ვარძიის ციხე-მონასტერმა განიცადა, ამ უნიკალური ძეგლის დარჩენილი ნაწილი დიდ ინტერესს წარმოადგენს. მისი გულდასმით შესწავლისას, როგორც მშენებლობის, ასევე ხელოვნების თვალსაზრისით, მრავალ ისეთ საინტერესო მომენტზე შეიძლება ყურადღების გამახვილება, როგორიცაა სამშენებლო ხელოვნებისა და ტექნიკის საკითხი, მშენებლობის ისტორია საერთოდ და კერძოდ, ქართული საცხოვრებლისა, ხელოვნების საკითხები (ფრესკა, არქიტექტურა), წყალსადენის საკითხი და სხვ.

საბჭოთა წყობილების წლებში ვარძია სახელმწიფოს დაცვის ქვეშ იწა დაყენებული. 1938 წლიდან ამ ძეგლთან დაარსებული მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლები გულდასმით სწავლობენ მის ყოველ მონაკვეთს. ვადიდებულია დოკუმენტური ფილმი „ვარძია“, რომელიც ამ ძეგლის არქიტექტურული ანსამბლის და მისი ისტორიის ყოველ ძირითად მომენტს ასახავს.

¹ „ისტორიანი და აზმანი შარავანდელდანი“.

ორთავიანი სტოა





დ. ნოდია

რუსთავი. ინდუსტრიული პეიზაჟი

„ვეფხისტყაოსნის“ მითოლოგია

მიხეილ ჩიქოვანი

შოთა რუსთველი ხშირად მიმართავს მითოლოგიურ სახეებს. პოეტური შედარებები, მეტაფორები არაშეუთხლად ვეფხისტყაოსნში აგებულია მითიურ წარმოდგენებზე. ხშირად მათი განხილვა, ნამდვილი შინაარსის გაგება შესაძლებელი ხდება ქართულთა უძველესი რელიგიური მსოფლმხედველობის გათვალისწინების საშუალებით¹.

მითოლოგია და მითოლოგიური სახეები ვეფხისტყაოსანში — ფართო პრობლემაა. მისი თუნდაც მიახლოებით გამოკვლევისათვის საჭიროა სპეციალური მონოგრაფია. ახლა ასეთი მიზანი არ დავისახავს. აქ საკითხის ერთ მხარეს, უკეთ, რამდენიმე მომენტს განვიხილავთ მხოლოდ, და ისიც ვარკვეული თვალსაზრისით: რა მიიღო რუსთველმა ქართული მითოლოგიიდან, რა სპეციფიკური სახეები და ცნებები შემოიტანა ლიტერატურაში, რომელთა მოპოვება და დანახვა მგოსანს თავის ქვეყანაში შეეძლო, მაშასადამე, ანალოგიური მასალის ძებნა საქართველოს გარეშე არ იყო საჭირო. ამ წესზე მეთოდურად გამართულ მსჯელობას მაშინ ექნება ფასი, თუ მიხერხდება ჩვენს ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ სინამდვილეში ისეთი წარმოდგენების დადასტურება, რომლებსაც ვეფხისტყაოსანი შეიცავს. ვფიქრობ, ეს არა თუ მოსახერხებელია, არამედ დანამდვილებითაც შეიძლება ვამტკიცოთ.

ადვილყოთ კოსმიური მოვლენებიდან.

1. მზის დაბნელება. შოთა რუსთველი პოეტური შედარებისათვის ნესტან-დარეჯანზე ამბობს:

გველი მოშლით მოეცენს, ბალი შეღმა შეერ-შენდა,
მზე ვეშასა დაბნელა, ზედა რაღმცა გაგეთენდა. (1158)

მზის სახით პოეტი ნესტან-დარეჯანს უღლისსმობს, ე. ი. დიდ მწუხარებას ნესტანი ისე დავფარა, დაბნელა, შეეყრო, როგორც მზე იფარება და ბნელდება, როცა მას ვეშაში ანუ გველში გადაეყლაპეს. პოეტი მხატვრულ გარდაქმნას მიმართავს კონკრეტული ვითარების, ტყვე ქალის სულიერი მდგომარეობის ჩვენების მიზნით, მაგრამ საკითხავია: რა საფუძველზე განჩნდა თვითონ გამოთქმა „მზე ვეშასა დაბნელა“?

რუსთველის ამ შესანიშნავ პოეტურ სახეს საფუძვლად

უძველესი მითოლოგიური წარმოდგენა უდევს. საქართველოში დღემდე გავრცელებულია გადმოცემა მზის დაბნელებაზე. პირველი წერილობითი მითითება „ქართლის ცხოვრებაში“ გხვდება, სადაც მირიან მეფის ნადირობისა და მზის დაბნელების ამავანა მოთხრობილი². შემდეგ მოდის რუსთველის ცნობა. „ქართლის ცხოვრებისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ლიტერატურულად დასტურდება, რომ XII საუკუნეში, და უფრო ადრე, საქართველოში გავრცელებული ყოფილა გადმოცემები მზის დაბნელებაზე, კერძოდ, მისი ვეშაპისგან ჩანთქმით დაბნელების შესახებ.

ზოგადად აღებული ასეთი ცნებებიდან მითოლოგიური მომდინარეობს და დაწვრილია არა მარტო საქართველოში, არამედ ბევრ სხვა ქვეყანაშიც, დღემდეცის სხვადასხვა მხარეში.

ჩანს, ვეშაპის, გველშაპის მიერ მზის ჩაყლაპვის მითი ჩვენში პოპულარულიც ყოფილა, რადგან იგი პოეტმა შედარებისათვის გამოიყენა რთულ მეტაფორაში. მითის სიტყველსა და გავრცელებას ამტკიცებს, ერთი მხრივ, მისი ქართლანობამდელ ქართულ ეროვნულ ეპოსში შესვლა, მეორე მხრივ, ბოლო დრომდე რწმენის სახით ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემოახვია.

ამირანის თქმულების სვანურ ვერსიაში ნათქვამია, გმირის ჩაწყლაპველი ბოროტი არსებისათვის „ამირანს რომ ჩელტი არ მიეყენა, ქვეყანა დაიღუბებოდა: როცა მზე ბნელდება, — დევი (გველშაპი) ჰუღაპავს. მზე თვის გვერდს მალე სწავას და ისევე გამოდის ქვეყნის სათიფხლად“³. საქართველოში მზის გადარჩენას ამირანის სახელს უკავშირებენ, ხოლო თვითონ ამირანის თქმულება კი სამი ათასი წლის ისტორიის მქონეა. ჯერჯერობით ზუსტად არ ვიცით, როდის შევიდა მზის დაბნელების მითი ამირანიანში.

მაგრამ ეს გარემოება თავისთავად ახალი არ შეიძლება იყოს, რადგან ანალოგიური გადმოცემები და ჩვეულებანი ეთნოგრაფიულ ყოფაშიც არის დადასტურებული. მაგალითად, 1945 წელს ჩვენ ვწერდით: ლეჩხუმში მზის „დაბნელების მიზეზად დღვის მაგირი გველშაპს ასახელებდნენ. მზა მონხეტი პაველ ბანძელაძე (სოფ. ტვიში) მარწმუნებდა (1935 წ.), რომ თვითონ დაინახა, როგორ ჩაყლაპა გველშაპმა შუადღისას მზე და როგორ იგრძნო მან ცოტახნის მერე რუჯის სუნი“⁴. ვ. ნოზაძის, რომელსაც, როგორც 1957 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომიდან ჩანს, სპეციალურად შეუსწავლია მზის დაბნელების მითი სხვადასხვა ხალხის წარმოდგენათა მიხედვით, აღნიშნული აქვს: „ამ სტრიქონთა დამწერიც თავის ზავშობისას სა-

² ქართლის ცხოვრება, 1, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ე ლ ი ს რ ე ლ ა ქ ი თ ი, გვ. 109.

³ შ. ჩ. ი. კ. ო. ვ. ა. ნ., მიჯაჭვული ამირანი, 1947 წ. გვ. 360.

⁴ იქვე, გვ. 143, მისივე, ქართული ეპოსი, 1, 1949, გვ. 221, 177—178.

ქართველში (საჩხერე) მონაწილეობას ღებულობდა მზის გადასარჩენ საქმეში, როდესაც საჩხერის მთელი მოსახლეობა ქუჩაში გამოდიოდა და ქვაბებზე, საინებზე, ფიცრებზე ბრახნილი და ყვირილით ცილიობდა გეშაპის ჩაყლაპვისაგან მზის გადაარჩენას⁵.

ამირანის თქმულების შესწავლის დროს ჩვენ საშუალება გვქონდა აღვენიშნა მზის დაბნელების მითის ფართო გავრცელება განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ხალხთა შორის მთელს მსოფლიოში.

აქ შეიძლება გაეცნოთ მის თხზულებანი, რომლებსაც რუსთველი კარგად იცნობდა. ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“ (ქართული თარგმანის მიხედვით) ნათქვამია: „ვეშაბი მზეს ჩანთქმადია“⁶, ხოლო „ვისრამიანი“ მოვითხრობს: „და დედისა ჩემსა ვაახარე და მოაქსენ: ვეშაპისაგან მზე დაქსნა“⁷. როგორც აქ, ისე ცის სხვა სხეულებს დაბნელების შესახებ ცნობები შოთა რუსთველს შეეძლო აეღო საქართველოდან. მისთვის საჭირო არ იყო უცხო წყაროებიდან სესხება, რადგან მსგავსი ხალხური გადმოცემა მას ბავშვობიდანვე ჰქონდა შეთვისებული.

II. მთვარის დაბნელება. მზის მსგავსად, მთვარეც ბნელდება. ეს მოვლენა შემჩნეულია ხალხის მიერ და სათანადო ახსნად არის შემუშავებული. თუ ქართველთა წარმოდგენით, მზის დაბნელებას გველშაპისგან, ან ზოგჯერ, ღვინის მიერ ჩანქმა იწვევს, მთვარის დაბნელების მიზეზად გველია მიჩნეული. ეს ცნობა ფიქსირებული აქვს შოთა რუსთველს. ქაჯებთან ნესტან-დარეჯანის პირველი შედეგად, რომაქისგან მისი შეპყრობა და ვინაობის გამოითხვა ასეა გადმოცემული:

კვლავ ვკითხეთ: „გვითხარ მართალი საქმე შენ მზებრ
ნათელისა
ვისი ხარ, ვინ ხარ, სით მოხვალ მანათობელი ბნელისა?“
მან არა ვეითხრა, გაუშვა წყარო ცრემლისა ცხელისა,
რა საბარალო გავსილი მთვარე, ჩანთქმული გველისა!
(1230).

ნესტანის მდგომარეობა გველის მიერ ჩანთქმულ სავსე მთვარეს ჰგავს, — ამბობს პოეტი. მაშასადამე, ნესტანი აქ შეპირისპირებულია მთვარესთან, რომელიც გველს ჩაუყლაპავს და დაუბნელებია.

ქაჯეულიდან ნესტანის განათვისუფლება პოეტს გველი-საგან შეპყრობილი მთვარის განთავისუფლებას მოაგონებს:

გზანი დაბედეს შეიფუფნენ, შევიდეს და გაძრეს ხერვლსა,
ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა (1420).

მთვარის დაბნელების მიზეზი აქაც გველისაგან ჩაყლაპვაა, რომელიც მხატვრულად ნესტანის დატყვევებას, შეპყრობას ნიშნავს. როცა ნესტან-დარეჯანმა ხალხში მოისყიდა და იღვრებულ გაიტყა, რუსთველი ამბობს: „დარა მთვარე ვაგებულ, გველისაგან ჩაუნთქმული“ (1198 სტროფი). მთვარის ჩანთქმა გველისტყუასანში ყოველთვის სავსეობის პერიოდზე მოდის: ამას მხატვრულ-

მეტაფორული მნიშვნელობა აქვს, რადგან ნესტანი არა უბრალო მთვარე, არამედ ვაგებულ, გაბრწყინებული, გაბადრული, ყველაზე სრული და კელუსტი მის ფაქტს შორის.

აღნიშნული სამი შემთხვევის გარდა, ვეშაპისტყუასანში კიდევ იმოკვება ორი ადგილი, სადაც კვლავ გველისა და მთვარის დაბნელებაზე უნდა იყოს საუბარი. აუთენტიკისაგან ფრიდონთან მიწერილ ბარათში ნათქვამია:

აჲ შემინდვე, ვერა ვნახე, შორს ამისთვის წაგიარე,
გზა-გზა ყოენა აღარა მკალს, პატიმრიადა იგი მთვარე (1322)

მთვარის პატიმრობა, ტყვეობა, ნესტანის პატიმრობა-ტყვეობას ნიშნავს, მაგრამ ამ მდგომარეობაში ყოფილი მთვარე უკვე დაბნელებულია და ხალხი მისი გამოხსნა-სათვის იღწვის, გველს თუ გველემშავს ებრძვის, აფრთხობს. მეორე ადგილას საუბარია არა მარტო ქალზე, არამედ ვაჟზეც. ევგვიტელმა ვაჭრებმა ინდოეთისაკენ მიმავალ ტარიელს მეფის ასულს გადაკარგვის ამაზე გა-ნუწერილ.

ცნა ამირბარამს, წავიდა ლომი მის მზისა მძებნელად,

იგიცა წახდა, ინდოეთს გახდა მთვარე და მზე ბნელად... (1586)

მზისა და მთვარის დაბნელება აქ კვლავ მათ შორის თქმას, გველისაგან თუ გველშაპისაგან შეპყრობას, და-ფარავს, დამალავს გვაგონებს. მაშასადამე, მათ ინდოეთს გამოიჩენა, მშვიდობიანი დაბრუნება, მზისა და მთვარის გამოსხნა, სიბნელისაგან განთავისუფლება იქნება!

ამგვარად, შოთას წარმოდგენით მთვარის დაბნელების მიზეზი გველის მიერ მისი შეპყრობა და გადაყლაპვაა. მზის დაბნელების მიზეზად პოეტი გეშაპს ასახელებს. ამ ფორმითა ეს მითი გავრცელებული ქართველ ხალხში, მის ყველა ეთნოგრაფიულ ერთეულში. გეშაპი ამ შემთხვევაში მხოლოდ გველშაპს ვულისხმობს. რაც შეეხება მთვარის დაბნელებას, აქ განსხვავებული მდგომარეობაა: მიჯნურთა მეგობრის დაბნელების მიზეზი გველია მხოლოდ.

მნათობისა ჩამხედაბელად ერთ შემთხვევაში გეშაპი გველშაპება, მეორეგან — გველი. არსებითად აქ განსხვავება ტერმინოლოგიური ხასიათისაა. შინაარსი ერთია. საქმე ისაა, რომ ეს ორი სიტყვა ადრე, ყოველ შემთხვევაში XIII საუკუნემდე, ცალკადაც აღნიშნავდა იმას, რასაც ახალ საუკუნეებში, და ამჟამადც „გველშაპი“, როგორც უკვე ვარკვეულია, კომპოზიტური შედგენილობის სიტყვა, შედარებით ახალი წარმონაქმნია, ადრინდელ ძეგლებში კი ამავე ფუნქციით ის გეშაპი იხსენიება (აბოს წამება, დავით გარეჯელის ცხოვრება, ზიზილის თარგმანი), ანდა გველი (აბუსერიძე ტბელის თხზულება, 1233 წ.)⁸. ჩანს შოთა რუსთველის დროსაც ეს ორი სახელი ერთ ფუნქციაშიც იგულისხმებოდა. ამგვარად, მზისა და მთვარის გეშაპი, გველი, გველშაპი ანელებს. ეს უპირველესი ქართულ-მითოლოგიური წარმოდგენა და მისი გამოხატვითი სიტყვიერი ფორმულა რუსთველმა გამოიყენა, და ამით საქართველოში გავრცელებული მითის ფიქსაცია მოახდინა.

⁵ ვ. ნოზაძე, რუსთველის ვარსკვლავთმეტეველება, სანტიპო-ლი-ჩილე, 1957, გვ. 79.

⁶ შაჰ-ნამე ქართული ვერსიები, 1916, გვ. 765.

⁷ ვისრამიანი, გვ. 95.

⁸ მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 383-384.

ამ შემთხვევაში ჩვენ ვიზიარებთ ვ. ნოზაძის შენიშვნას ზ. ავალიშვილის მიმართ⁹.

111. დღეი. ქართულ ლიტერატურასა და ფოლკლორში დღეი ეპიკური პერსონაჟია. აქ მას არ გაუვლია განვითარების ის გზა, რაც აღმოსავლეთში, კერძოდ, ინდუსსა და სპარსულ-ირანულ მითოლოგიაში ჰქონდა. ამგვარად იგი ურთიერთის ნიდაგზე დამკვიდრებული სახეა. ჩვენსა დღეი არაონდეს არ ითვლებოდა კეთილ დღეებზე და ინდური მითოლოგიის მსგავსად. V საუკუნის ლიტერატურული ძეგლი — შუშანიკის წამება ბირველად მოხსენიებს დეს, როგორც უხუროსა და ქართველთა რელიგიური მსოფლ-მხედველობისათვის შეუთავსებელ არსებს. დეისი დეი უარყოფითი დამოკიდებულება ქართულ ებოსს ბოლომდე შერჩა ფოლკლორში, ასევე ითქმის ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. დეისი მხატვრული სახის განსაზღვა ჩვენს მიერ მოცემულია ამირანის თქმულებასთან დაკავშირებით¹⁰. ამის გამო მასზე აქ დაწვრილებით შექრება სა-პირო არა, თუმცა ვეფხისტყაისის დეითა სამყაროს ფოლკლორულ დამოკიდებულებას მოწყვეტა არ შეიძლება.

დევები ადამიანური წესით მრავლდებიან და მათ მიერ გაშენებულ სადგომებში ცხოვრობენ. ტარიელი ავთანდილს უამბობს:

ესე ქეანბი უკაცური ვაოვენ, დევთა შეეკაფნეს,
შემოვლი, ამოვწყვიდენ, ყულა ვერას ვერ მებაფნეს,
მათ მონანი დამობიკნეს, ჯაქაჲ ავად მოეკაფნეს,
საწუთობან დამალიჯა, ცქაფნი მილნი ჯაქა მუკაქაფნეს
(654).

დევები ადამიანების მახლობლად ცხოვრობენ. დევთა ამაყურად ადგილად უკაცრილა. ვეფხისტყაისის მიხედვითაც, სწორედ უკაცრიელ ადგილებს დაეპატრონენ დევები საცხოვრებლად, კლდე ამირანის და შიგ გამოქვაბულში გააქეთეს, შეეაფეს. ამ სტროფის წყობისას ვარჩა და მისი მიღამობი ვეგავრდება, ს:დაც გამოქვაბულთა მრავალსაფებურიანი სისტემა შექმნილი მტრის შესაკავებლად და მოსახლეობის გასახიზნავად. ერთხელ ტარიელი ადამიანთაგან დაშორებულ ქვაბებს წააწყდა და მათი აესულთაგან გაქმნდა განიზრახა. სურვილის განხორციელებად ძნელი შეიქნა, რადგან დევებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, საცხოვრისი ნებით არ დათმეს და ტარელებ თანმხლებთა მიელი გუნდი გაუქვლიტეს. ამიტომ ტარიელი დაღონდა, დაღირჯა და ადამიანთა მოდგმის შემაჯიწრებულთ წმინდად გაუსწორა ანგარიში: ყველა ამოწყვიტა. დევებთან ბრძოლა ფეოდალურ ომს ჰგავს.

დევთა ვიროლი, ზახილი ზეკამდის აიწუდა,
მათისა ლახტის ცემითა შეეკანა შერიკოდა,
მზე დაანელეს მტკერითა, აღდის შტო შერჩეოდა,
სამი ეთო კერათი მომიხდეს, დავფრედი, დასებოდა.

დელი მხატვრის მიერ შექმნილ ამ სურათში ძველი ეპიკური მოტივები გამოიყურება შეფარვით. ლახტის ცემით ქვეყნი შირეკვა ამკარად ენაშაურება ტრადიციულ ებოსს, სადაც ამირანი ზაყაყ-დეუს ამარცხებს. ძველ თქმულებაში ზაყაყ-დევის მოძრაობის გამო დედამიწა იძირის, ხოლო ამირანთან შეხებისას „მიწა და მყარი ხეიოდა“.

„იმათ ნაომარ ადგილზე სულ ქვა და ლოდი ცვიოდა... როგორც ლეონტი მროველს გმირთა შერკინება, ასევე რუსთველს დევებთან ბრძოლა ეპიკურ ფერებში აქვს გადმოცემული. იორგი ავტროთან აშკარად ჩანს ტრადიციული ეპიკური სტილი და პოეტური მეტყველება. ლეონტი მროველის მიხედვით, ბრძოლის დროს გუნდის მტერის ღრუბლები იდგა“¹¹. ასევე რუსთველის გადმოცემით დევთა გუნდის მტერმა მზე დააბნელა.

თავგანწირული ბრძოლით მოიპოვა ტარიელმა გამოქვაბული:

ქეანბი წაუზან დევთათის, სახლად აქეთ დევთა
სახლები (690, 1)

კლდეთა შორის ასმათი დააბინავა, თვითონ კი ძებნა განაძრძო.

მაშასადამე, დევთა ნასახლარზე, ნაბინავარზე აღამანების ცხოვრება დასაშვებია. დევებთან შეხვედრის ეს ცნობილი ეპიზოდი თავისებური სახითაა წარმოდგენილი ფოლკლორული ვერსიაში. აქ დევები მიწის შეურყნობას მისდევენ. ისინი საქმიანობით დაახლოებული არიან იმ ყოფით პირობებთან, რომელშიაც თვითონ სახალხო მთქმელები იმყოფებოდნენ საუკუნეთა განმავლობაში. დ. ხიზანიშვილის მიერ ჩაწერილ არქანულ ვარიანტში ვკითხულობთ:

„ტარიელმა დეეთ უზანზე გაიარა, დევების ნახანებზედ-მაგ ნახანებზე უნ მიღობარ, ნუ აფუქუბო, მაგრამ ტარიელმა ყური არ უღლო, ერთმა გუნდის დღამ არ დაიწოა, შეუბა ტარიელს, მერე წინ შეჩეხა დევების ხარ-გუთანი. ტარიელმა ფეხი ამოჭრა და შორს გაისროლა“¹². ვჯოვლა არაბულიც მსგავს სტრასს გვიხატავს: „კარგა მგზავობის შემდეგ ავთანდილს შეგზავდა ერთი უხარბაზარი დევი, რომელიც კოჭლობით მოჩახუნობდა (შდრ. სამი ძმა ხატაველი). ავთანდილმა დევი იცნო და „გამარჯობა“ უთხრა. შემდეგ ჰკითხა იმის ამბავი, ვის სამებად იყო მოამსჯელი... ჩამოიარა ქართლთა ერთმა პირქვეშა მოყემე... გამიკრა ხელი გუთნულს და ზღვას იქით გადამეყარა“¹³.

სახლური ვერსია დევთა ცხოვრების პირობებს, მათ მოსაქმეობას უფრო ახლოს გვაცნობს, ვიდრე პოემა.

დღეი ზოგჯერ ავთანდილის მრჩეულია. ლეჩხუმურ ვარიანტში ნათქვამია: „რა შევიდა იმ გორახზე... მამინ მდეგმა უთხრა“¹⁴...

რუსთველს აღინშნული აქვს, რომ დევები და ქაჯები ერთმანეთს მტრობენ, ზოგჯერ სამკვიდრო-სასიცოცხლო ომი მიმდის. ამ შემთხვევისათვის სამი ხელი ამჯარი ქვაში სავანგებოდ ინახებოდა:

თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, დღე იყოს იგი ბნელიო (1368).

უდავთა, დევთა სამყარი რუსთველისეული არაა, იგი პოეტს ხალხური ტრადიციიდან აქვს აღებული და მხატვრულად გადაამუშავებული.

დღეს სიუჟეტური ფუნქცია აკისრია როგორც ლიტერატურულ, ისე ხალხურ ვერსიაში, მაშასადამე, შეუთხვევითი არ ანაზღაურო პერსონაჟი არაა, იგი მწველიის მიერ კანონზომიერად არის შემოყვანილი ნაწარმოებში, ძირითად კომპოზიციურ და სიუჟეტურ რკალშია მოქმედებული.

დღეი ამბავითობის ხანის შემოქმედლებასა წარმოად-

⁹ ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაისის ვარსკვლავთმობისკვლეობა, 1957, გვ. 80.

¹⁰ მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, გვ. 165-169.

¹¹ მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 148-203.

¹² ხალხური ვეფხისტყაისანი, გვ. 111.

¹³ იქვე, გვ. 126.

¹⁴ იქვე, გვ. 136.



გენს. ზოგჯერ იგი მითოლოგიურ პანთეონში ბოროტი მსახურის, ადამიანთა დამსჯელის ფუნქციას ასრულებს. ხეცურთა რწმენით, ცა-ღრუბლების გამგებელ პირიანებს შემწველ დევები და მაცოლები ჰყავს, რომლებსაც სეტყვით დატვირთულია და იმ ადგილებს შეუსევს, სადაც ადამიანთა დასაცავს განზრახული.

ს.-ს. ორბელიანის განმარტებით დღეი არის „ვარეშე წერილთა, რომელი საწარმართოა აღუწერილთ, აუ სახე, კაცის მსგავსი, რქიანი, იგი მოკონებული ტყვალთა“ (ლექსიკონი). მეტად საყურადღებოა სულხან-საბა ორბელიანის მეორე მითითება: „ხოლო ქართულად, რომელთაჲმ წერილთა შინა, დღეი გველემუაჲსი ადგილს აღუწერილთა“. ამგვარი შენაცვლება ხშირად გვეხვება ხალხურ პროზაში. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ გეშათმეგრძობელი გმირის სიუჟეტი¹⁵ და მზის დაბნელების, ზემოთ განხილული მითი. შენაცვლების კანონით უნდა ავხსნათ აგრეთვე ამირანიანში შესული მითური მოტივი, როცა დაბნელებას გველემუაჲსი მაგიერ, დღეი იწვევს.

IV ქაჯი. ქართულ ლიტერატურასა და ფოლკლორში ქაჯი ბოპულარული მითური, ირსება. ფოლკლორში იგი ხშირად გვეხვება როგორც რწმუნს, ისე მხატვრული პერსონაჟის სახით. ყოველთვის, რა მიზნითაც არ უნდა იხსენებოდეს ქაჯი, იგი გრძნეული და მაცუთრია: „სულხან-საბა წერს: „მაცუთრთა რასმე იტყუან საემუკათო, ვითა: მინათოა ჭიმათა, აღსა, კორვიანტსა და იროსა“ (ლექსიკონი). ჩანს, ქაჯი კრებადობითი სახელება, რომელიც სხვადასხვა გრძნეულ და ბოროტ არსებებს აერთიანებს, მაგალითად, ხალხური დემონოლოგიის წარმომადგენლებს ჭინკასა და აღს.

ევეზისტყაოსანში ქაჯები დღევანდელივით აღიარებულად არიან წარმოდგენილი. მათი სახით პოეტი ვარკვეული თვისებებისა და კატეგორიის არსებებს გვიხსნათ, რომლებსაც საკუთარი ქვეყანა და სამეფო აქვთ; დევებისაგან განსხვავებით, იციან სახელმწიფოს თავისებურ წესზე მოწყობა და მართვა.

ბოემის სიუჟეტის განვითარებაში ქაჯეთთან ბრძოლას კულმინაციური ადგილი უჭირავს. ნესტან-დარეჯანის გამოსხნა ფაქტიურად თხზულების დასასრულს, ბოროტზე კეთილის გამარჯვებას ნიშნავს. ამის გამო პოეტი ქაჯეთს როდეს ექსპრესიითა და ზომიერებით გვიხატავს, გვაცნობს როგორც საოცარს, მიუვალსა და ძნელად ასაღებს, მწვავე ბრძოლის ასპარეზს. ქაჯეთის დაპყრობა მშათანაფიცთა ცხოვრებაში ყველაზე დიდი მოვლენა იყო, რომელსაც არა მხოლოდ საარაუტო ფიზიკური ძალა და მაშინაცომა დასჭირდა, არაწედ გამპრიახი გონება, მოფიქრება, გამოჩენის უნარი, მოქმედების თანმიმდევრობა, სამხედრო სტრატეგია, თავდადება. პოეტი არც ერთ მომენტს არ სტოკებს ყურადღების გარეშე. იგი ქაჯეთს ისეთივე აღმადგურეთია და სისასვით ხატავს, როგორც არაბთა ან ინდოელთა სახელმწიფოებს, ხატავთ. ზოგადი დაცვენისა და ქაჯთა სამყაროს საიდუმლოთა ვარკვევისათვის საჭიროა ყველა იმ მონაცემის გათვალისწინება, რასაც შოთა რუსთაველი გვაწვდის ან ქართული მითოლოგია შეიცავს. ცხადია, ამ დროს

მხედველობიდან არ შეიძლება გაუშვებოთ ფოლკლორულ ევეზისტყაოსანი, რადგან მასში ბუნებრივი ფორმით ხალხური დემონოლოგიის სრული სახეა მოცემული.

ა) ქაჯი უხორცო, უსხეულო. ევეზისტყაოსანში ორი თვალსაზრისი იჩენს თავს. პირველი შეხედულებით, ქაჯი უხილავი, უხორცო ანუ უსხეულო არსებია, რომელსაც ადამიანური, კაცური თვისებები არა აქვს. როცა ავთანდილმა მოისმინა ნესტანი ქაჯებს ტყვეთ ჰყავთო, გავირეგება გამოთქვა:

ქაჯნი ყველა უხორცოა, რამა შექმნა ხორციელად?
(1245)

ამიტომაც ფატმანს სთხოვა, მათი საქმე კარგად მაცოდინე, გამაგებინეო.

კიდევ უფრო ეუცხოვა ავთანდილს ნესტანის დაწინდების ცნობა, ქაჯთა მფვის სუფროსი შვილის როსანისათვის საპატარალოდ გამიზნა: „ქვე დაუწინდაცს საყლელ როსან ცოტასა ყმისადა“ (1239,1).

შეცბუნებული ავთანდილი ამბობს:

მის ქალისა სიბრალული ამანთებს და მიღებს აღსა,
მაგრა ქაჯნი უხორციანი არა აქვეწნ, მიკვირს, ქალსა?
(1246)

ჩანს, შოთა რუსთაველის დროს, და უფრო ადრე, ვარკველებული ყოფილია შეხედულება ქაჯთა უხილაობის, უსხეულობისა და გამარჯვების არაადამიანური წესის შესახებ. ავთანდილისათვის ძნელი წარმოსადგენია ქაჯი დედა და მამა. ბოროტ სულთა ხორციელად ქცევა, სხეულის შექმნა, მათი კაცურ ფორმისა გადასვლა ავთანდილს არ სჯარა. შეიძლება ისიც ვთქვათ, რომ ამ შეხედულების თანახმად, ქაჯი არ არის მაცქია, შეუძლებელია მისი გარეგნობის შეცვლა. ცხოველად თუ ადამიანად გარდაქმნა. ასეთია ერთი ვარაუდით ქაჯის ბუნება, მაგრამ არსებობს მეორე ანგარიშსაცემი შეხედულებაც, და მას ფატმანი წარმოავლიდევს.

ბ) ქაჯნი გრძნეულნი. ფატმანმა ავთანდილს აღუსნა, თუ ვინ და რა თვისებებისა არიან ნესტანის დამჭერი ქაჯები. პოეტი ფატმანის პირით განმარტავს, რომ, ვინც ქაჯებად იწოდება, ისინი: ნამდვილად უხორციონი კი არ არიან, არამედ კაცნი ქაჯური თვისების მატარებელია და მიუვალ კლდებში მცხოვრებნი.

ფატმანმა ავთანდილს უთხრა:

მოისმინე, მართლად გხედვ მანდა მკრთალსა,
არ ქაჯნი, კაცნიო, მინდობიან კლესსა სალსა (1246).

ქაჯებად წოდებულ ადამიანებს იმნარი თვისებები ახასიათებთ, როგორც მართალ ქაჯებს. მაშასადამე, ბოემის მიხედვით, შეგვიძლია განვსაზღვროთ ამ უხილავ არსებთა შინაგანი ბუნება და ადამიანებთან დამოკიდებულება.

ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი
კაცნი, გრძნებისა მცოდენნი, ზედა გახელდუნებულნი (1247)

ამგვარად, ის, რაც ევეზისტყაოსანში ქაჯების შესახება ნათქვამი ორგვარად ვაიგება: პირველი, ყველა მოცემული ნიშნულებიდან არის ნამდვილ ქაჯთა ნიშნულები. თვისება, წესი, მეორე: ქაჯური ხასიათი შეიძლება ჰქონდეს ადამიანებსაც, კაცებს და ქალებს თვინათი უკულ-

¹⁵ მ. ნ. ჩიქვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, გვ. 388—89.



მართი ბუნების გამო, ამგვარი ადამიანები შეიძლება ქაჯთა საზოგადოებას მიეკუთვნოთ, ზოროტ არსებობა ჯგუფში მოვათავსოთ.

ახლა კითხვა იზადება: შეიძლება თუ არა გვეზის-ტყაოსანში წარმოსახული ქაჯი და ქაჯური ნამდვილ, მითოლოგიური აზროვნების მიხედვით შექმნილ ქაჯთა სამყაროს ამსახველად მივიჩნიოთ?

ღიას, შეიძლება! აქ ისიც დასაშვებია ითქვას, რომ რუსთველი თუმცა მხატვარია, მაგრამ მაინც თავისი დროისა და მასზე აღრინდელი შეხედულებების ყველაზე სრულ სწრაფს გვაწვდის. ამ მხრივ მის პოემას ისტორიული მნიშვნელობაც ენიჭება.

გავიგნოთ, რამდენად დახელოვებული და გაწაფული არიან ქაჯის ბუნების მატარებელი ეს ადამიანები. პირველ ყოვლისა ისინი ჯადოქრები არიან. გრძნებისმყოფელობა მათ სხვადასხვა მოქმედებაში გამოიხატება, აი ისინიც: 1. ქაჯებს სასწაულბრძვილად ადამიანების დაბრ-მაგება შეუძლიათ:

იქმენ რასმე საკვირველსა, მტერსა თვალსა დაუბრძობენ (1248)

2. ქაჯები უძლეველი არიან, მაგრამ არა ვაჭკაცუ-რი, გმირული შესაძლებლობით, არამედ კვლავ თავიან-თებური ხერხებით.

ყოველთა კაცთა მავნენი, იგი არვისგან ენებულნი, მითი შემბმელნი წაშობენ დაბრძალნი, გაწონილებულნი (1247).

3. ზეადამიანური ჯადოქრობითა და გრძნელობით:

ქართა აღბრუნე საშინელითა. ნავსა ზღვა-ზღვა დაამობენ (1242).

4. წყალზე იღე დაღიან, როგორც ხმელეთზე. თუ მო-ისურვეს წყალს დააშრობენ, გააქრობენ:

ვითა ხმელსა გაიბრუნენ, წყალსა წმინდალ დააშრობენ (1248).

5. სურვილისამებრ ცვლიან დღეს ღამედ და ღამეს დღედ. სინათლისა და სიბნელის გამგებლობა მათ ხელათა:

სწადდეს — დღესა ბნელად იქმენ, სწადდეს — ბნელსა ანათობენ (1248).

6. ისინი მხოლოდ დედამიწაზე არ მოქმედებენ, ხელი ცაზეც მიუწვდებიან:

მან უმაბო დგარა ქაჯსა, ვინ გრძნობითა ცაცა იცის (575)

7. შეუძლიათ გაუჩინარება, თვალათგან შეუქმნე-ვლად გაქრობა, გაპარვა, გაქცევა:

„ვითა ქაჯი დავებამულ, მონებთა დავაფეთთ“ (288,3).

8. ქაჯი ადამიანის სახისაც შეიძლება იყოს, ან უკეთ, გარეგნობით ადამიანი — ქაჯური ბუნებისა აღმოჩნდეს:

„ამამილი ქაჯი იყო, გრძნელობა იცის კარგა“ (1585,1),
„წარმოდეს თრნი მონანი, პირთა მით ქაჯებითა“ (580,2).

ყველა ეს არაადამიანური ნიშან-თვისება უხვად მო-ბოვება ნესტანის დამატყვევებლებს.

ამისთვის ჭაჯად უხმაზენ გარეშემონი ყველანი, თუარა იგიცა კანინა ჩვენებრვე სორცელანი (1249, 1-2).

რაკი კაცის სახისა და სხეულის მქონენი არიან ქაჯე-თის მცხოვრებნი, ამიტომ დედაწულნიც ჰყავთ და მევის შელიც შეიძლება ნესტანზე დაიწინდოს. ხალხურ ვერ-სიასი ქაჯები სამოქმედო ასპარეზზე ხშირად გამოდიან. ისინი ადამიანებს ებრძვიან და დროებით წარმატებასაც აღწევენ. ხევისურულ ვარიანტში აღნიშნულია: „ბევრს ედვა გულში მოტყევა ტარიელის მზექალისა, მაგრამ ტარიელის შოშით ვერავინ შეიძლება დელავდა. ყველაზე უფრო შურდათ ქალი ტარიელისათვის ქაჯებს და მაცილებს“. და აი, შექმლეს მოტაცებაც:

ქაჯებ მზე წყალში შავადეს, წყალს მისცეს, დგან-ღვარებითა, წყალმა იბრალა, იწყალა, ვიადოდ ქანქანებითა¹⁶.

ქართული ვარიანტის მიხედვითაც, ნესტანი ქაჯეთ-შია დატყვევებული და ერთი შემზარავი ტრატორი მასზე დსაქობიწინებლად ემზადება¹⁷. მამაბრძამე, ქაჯთა მეფე ბატონს მოგვაგონებს, რომელსაც კარად იცნობს ამირანის ეპოსი ყამარის მამის სახით¹⁸. ხალხურ ივეფისტყაოსანის ქაჯებზეც გრძნეული არიან. ხევის-ურულ ვარიანტში: ავთანდილმა დაუწყო ხოცვა-მუსკრა ქაჯებს, მაგრამ რამდენსაც მოკლავდა, იმდენი ცოცხლდე-ბოდა და ბჭირილი ადგილები უმრთელდებოდათ. „ნაბ-დის ხმალა აიღე, ავთანდილ, ნაბდის ხმალთ... დასძახა ნესტან-დარეჯანმა... ავთანდილმა დააგყო ხელი ნაბდის ხმალს და დაუწყო უწყალოთ ხოცვა ქაჯებს“¹⁹. ზოგჯერ ხალხური რწმენით ქაჯი აღდგომადია, უკვდავი. ამავ დროს ჯადოსნური წესით მისი წარმოშობა შეიძლება. აქის ნიშნუშია ხალხურ ვეფხისტყაოსანში ფიქსირებული ჯარას უკუღმა დაბრუნებით მეომარ ქაჯთა განერის მოტივი. „ერთი ბებერი უკუღმა ჯარას აბრუნებს, რამდენსაც უკუღმა დააბრუნებს, იმდენი ქაჯი გამოდის“²⁰. სართავი ხელსაწყოს უკუღმა დატრიალება სიმბოლიურად ქაჯურ ბუნებასაც განსაზღვრავს: აკი ისინი უკუღმართნი, ადა-მიანის მოწინააღმდეგენი არიან.

გ) ქაჯთა ქვეყანა — სამეფო. ქაჯები კომპაქტურად ცხოვრობენ, საყოთარი ქვეყანა და სამეფო აქვთ. ეს ქვე-ყანა დიდია, მისი დაპყრობა, დამორჩილება, გასაჩუქრე-ბა, გადაცემა შეიძლება. ტარიელმა ზღვათა მეფის აცნობა:

აჲ მე მაქვს ქაჯთა ქვეყანა და მათი დანადგობა (1429),
სრულად ქაჯთა სამეფოსა გიძღვნი ჩემგან შეიწირე (1430)

მაგრამ მისი ხელში ჩაგდება-დამარცხებისათვის სა-ჭიროა წინასწარი ცნობების შეკრება: რას წარმოადგენს ქაჯთა ქვეყანა და როგორაა მომზადებული თავდამსხ-მელთა დასახვედრად.

მომგვიტყვი, ქაჯეთს გავგზავნიო, იგივე მონა გრძნეული, ქალსა ვაცნობით ყველაი ამაგი, ჩვენგან ცნულუი; მანცა გვაცნობოს მართალა, ვქმნათ მისი გამორჩეული, ლმერთან ქმნას, ქაჯთა სამეფო მოვესმის ჩვენგან ძღულუი! (1257)

¹⁶ მ. ჩიქოვანი; ხალხური ვედხისტყაოსანი, გვ. 117-188.
¹⁷ იქვე, გვ. 163.
¹⁸ ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, 1, გვ. 169.
¹⁹ იქვე, გვ. 131.
²⁰ იქვე, გვ. 164.



ნ. ჩიკოვანი

პეიზაჟი

მ. ანთაძე

ბათუმის პორტი

ვ. ადღაძე

პლიაჟზე






უ. ჯაფარიძე, ა. ქუთათელაძე

ნ. ს. ხრუშჩოვი საქართველოში

ე. თიაოჭრილიძე

დასვენება



გ. ა. ში

ბაონირები ზოსთავის მეტალურგიულ ქარხანაში



ნესტანა ფატმანს მიუწერა:

ერთს მცავს ერთი სამეფო, ბევრჯერ თასი გვიბრები (1286,3).

დ) ქაჯეთი. ქაჯების საცხოვრებელ ადგილს ქაჯეთი ეწოდება. იგი მტერშეუვლია და თავდაცვის მთელი სისტემა გააჩნია. „ჩვენ ქაჯეთს ქაჯთა საომრად დავაგნეთ ხრამლია კოტანი“ (1387,3) — ამბობს ფრიდონი. იგი შედარებით უკეთ იცნობს ქაჯთა ქვეყანას, რადგან:

ქაჯეთს ერთხელ კვლავ ვყოფილვარ, ჰნახეთ, თქვენცა გვაგარბის, უოღონთ კლდე, ვარშემო მტერი ვერა მოაღებებს; თუ იღუბალ არ შეუვალთ, მხადად შეზმა არ ეგებს; მით ლაშქარი არად გვიდა, ჩაზმი მალეთ ვერ მოაკვებებს (1388).

ფრიდონი ერთგან გამაფრთხილებდა აცხადებს:

ქაჯეთს ვვინდა ქაჯთა შერა—ო (1406,3)

ვ) ქაჯთა მეფე. ქაჯთა ქვეყანას თავისი მფლობელი, გამგებელი ჰყავს, რომელსაც მეფე ეწოდება. მეფე გარემოცულია ჯარით, ლაშქრით, მსახურებითა და მონებით. გულაშნაროში ქაჯთა მეფის ცხადა-მსახური მოუთხრობდა:

„მე ვარო მონა მეფისა მალისა, ქაჯთა მფლობლისა“ (1220).

ყოველივე კარგი და ძვირფასი მეფის არმადანია. ასე მოექცნენ ნესტანსაც, მეფეს მივარგეს არნახულ საჩუქრად. „ზედი მეფის ჩვენისა არსთაგან სინატრელია“—ო, ამბობს რომაე (1232,3). უსაჩუქრობა არ იქნება, რადგან ქაჯთა მეფე ამაყია და განრისხება სჩვევია. რომაეტი ხელქვეითებს აფრთხილებს:

თუ დავმოვლო, დამეძღვადლებით, მეფე ჩვენი ამაყია, პირველ მათი შეოდება, მერმე დიდი უღვია (1233,3-4).

ზოგჯერ მეფე მოგზაურობს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის სხვადასხვა შემთხვევის გამო. ნესტანი ფატმანს წერს:

ქაჯთა მეფე არ მოსულა, არც მოვლენ ქაჯი ჯერე. მგრა სპანი უთვალავნი მცვენ და მათი სილფე—რე (1287).

თვითონ ავთანდილი ფრიდონს აცნობებს „იგი მზე ქაჯთა მეფესა, ჰყავს ქაჯეთს ბატიმარია“ (1320,1). მასასადამე, ქაჯეთი ისეთივე იერარქიული ფეოდალური ტერაიაა, როგორც არაბეთი, ინდოეთი ან ხატაეთი.

3) ქაჯე—მონა. სოციალური სტრუქტურაც ქაჯეთისა ისეთივეა, როგორც ვეფხისტყაოსნის სხვა სახელმწიფოებისა. აქც არიან მონა—ყმები, რომლებსაც სხვადასხვა ადგილი უჭირავთ საზოგადოებრივ კიბეზე.

ერთი მოამბე აცხადებს: „მე ვარო მონა მეფისა მალისა, ქაჯთა მფლობლისა“ (1220,1). პოემიდან ჩანს, რომ მეფე მეფის მონას საკუთარი მონები, ყმები, ისე როგორც რომაეც მოეპოვება:

„რომეჲ მონა, თავად მონისა ბევრ—ათისისა“ (1222,4).

ზ) ქაჯთა სპა. ქაჯთა მეფეს თავისი ლაშქარი, ჯარი, სპა ჰყავს. მხედრების რიცხვი დიდია. ავთანდილის წერილიდან ჩანს, რომ ნესტანს იცავს დიდძალი მხედრობა:

„აგერო ქალსა ქაჯენი არ ახლვან, მგრა სპა უამარია“ (1320,4).

თ) ქაჯთა ქალაქი. რუსთველის მიერ აღწერილი ქალაქები ნაკლებად განსხვავდებიან უსაასუქუნეების სა-

ქართველოს ქალაქებისაგან, რომლებიც საკანგებოდ იყვნენ გამაგრებული დაუპატავებელ სტუმართა შესახვედრად. ქაჯთა ქალაქი სტრატეგიულ ადგილასა აგებული, თითქმის მიუვალი თმოგვის ციხე იყოს, რომელიც უჩინარი ვერანაირა შეერთებულ მდ. მტკვართან. აი როგორ აღწერს დიდი მგოსანი მტერთაგან დაუძლეველ ქალაქს:

ქაჯთა ქალაქი იქამდის მტერთაგან უბრძოლველია; ქალქსა შიგან მაგარი კლდე მალდა დ გრძელია; მას კლდესა შიგან ვერაპა, ასარჩომელი ხერელია, მუნ არის მარტო მნათობი, მისთა შემყურთა შუქლია (1242).

ეს ქალაქი ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს და ყოველი მხრიდან მამაცი ვაზუკები იცავენ.

გვირახის კარსა ნიადაგ მოყმე სცავს არ პირ—ნასებე, ათი ათასი ჰაბეთი ღვას ყველათი ხასები, ქალქის კართა სითავე სამათსა—სამათსებნი (1243, 1-3).

მკვიდრად ნაგები გალაკანი და კარბიჭენი საიმედო გუშავდ დვას. დამით, მიპარვით, მისულ სამ ბუმბარაზ თვალმად შევლით ციხე-სიმაგრე წარმოვლდა:

მივიდეს, ანდა ქალაქი, მცველთა ვერ დასოვილიდინა, ვარ კლდე იყო, გუშავთა ხმა ჯარვით გააღლიან (1391,3-4).

